9 771512 259002

მართლმსაჯულება და კანონი

№4 '18

Justice and Law Legal Journal

#4(60) 2018

Justice and Law

№4 2018

ეროვნულ და ევროპულ სამართლებრივ

მართლმსაჯულება და კანონი N4

Justice and Law

საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი
LEGAL JOURNAL OF THE SUPREME COURT OF GEORGIA AND OF THE JUDGES' ASSOCIATION OF GEORGIA

რედაქტორი
ნინო ძიძიგური

რედაქტორის მოადგილე
ირმა ბექაური

ნომერზე მუშაობდა:
მარინე ვასაძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

სარედაქციო საბჭო:
დიანა ბერეკაშვილი
ნინო გვენეტაძე
თამარ ზამბახიძე
მზია თოდუა
გიორგი მიქაუტაძე
ზაზა მეიშვილი

Editorial Board:
DIANA BEREKASHVILI
NINO GVENETADZE
TAMAR ZAMBAKHIDZE
MZIA TODUA
GIORGI MIKAUTADZE
ZAZA MEISHVILI

Editor:
NINO DZIDZIGURI

Deputy Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by
MARINE VASADZE

Designed by
BESIK DANELIA

English version of articles has been provided by Candidates of Law faculty of Tbilisi State University

უაკ (UDC) 340.11+340.130.5
მ-306

ISSN 1512-259X

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA

THE SUPREME COURT OF GEORGIA

აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილობითი ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

სარჩევი / CONTENTS

7
ლევან თევზაძე
დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი
SUBSTANTIATED JUDGEMENT AS CRUCIAL PART OF PROPER JUSTICE
LEVAN TEVZADZE

22
ლელა ნადიბაიძე
ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილების წარმოშობის დადგენის მატერიალური და პროცესუალური საკითხები
MATERIAL AND PROCEDURAL ISSUES OF IDENTIFYING ORIGINS OF CHILDREN BORN OUT OF WEDLOCK
LELA NADIBAIDZE

38
რატი ჩანტლაძე
ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა
INABILITY TO FULFIL THE OBLIGATION
RATI CHANTLADZE

66
მათე ხვედელიძე
ასოცირების შესახებ შეთანხმების გავლენა საქართველოსთან დაკავშირებულ საინვესტიციოსამართლებრივ ურთიერთობებზე
INFLUENCE OF THE ASSOCIATION AGREEMENT ON THE INVESTMENT RELATIONS RELATED TO GEORGIA
MATE KHVEDELIDZE

88
ნათია სონგულია
აუცილებელი მოგერიების სუბიექტური ელემენტების სტრუქტურის საკითხისათვის
FOR THE ISSUE OF STRUCTURE OF SUBJECTIVE ELEMENTS OF SELF-DEFENSE
NATIA SONGHULIA

105
თეიმურაზ ლომიძე
ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ცნების თავისებურებანი და მისი პრაქტიკული ასპექტების გამოვლინება
PECULIARITIES OF THE CONCEPT OF INDIVIDUAL ADMINISTRATIVE ACT AND ITS PACTICAL ASPECTS
TEIMURAZ LOMIDZE

დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი

ლევან თევზაძე
თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე,
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ეროვნული სასამართლოები განაჩენთა დადგენისას, როგორც წესი, ვალდებულნი არიან შიდა კანონმდებლობით მოახდინონ მათი დეტალური დასაბუთება. განაჩენთა დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ქართული მართლმსაჯულებისათვის, ვინაიდან დასაბუთებული განაჩენები თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობის ხარისხის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. საქართველოს უახლესი ისტორიის ცვლილებების ფონზე განაჩენთა დასაბუთებამ საკმაოდ საინტერესო გზა განვლო. თუ მოვახდენთ დღეს მიღებული განაჩენების დასაბუთებულობის ხარისხის ანალიზს, უდავოა, რომ წინა წლებთან შედარებით გაცილებით დასაბუთებულია თუმცა, სასურველი სტანდარტის მისაღწევად ჯერ კიდევ, ბევრი მუშაობა მართებთ ქართველ მოსამართლეებს.

მოცემული პრობლემის მოგვარების კუთხით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეგიდით, 2014 წელს შეიქმნა კომისია, რომლის მიერ განზოგადდა ქართულ სასამართლო სისტემაში არსებული პრაქტიკა, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე მომზადდა შესაბამისი წინადადებები განაჩენის ფორმის, დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტური გამართულობის თაობაზე. მიუხედავად ამისა, სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება ვერ ჩაითვლება სრულყოფილად. რა თქმა უნდა, გაუმჯობესება ერთ თვეში და ერთ წელიწადში ვერ მოხდება. ამისათვის მუდმივი მუშაობა და ყურადღების მიქცევაა საჭირო. უპირველესად, ეს თავად მოსამართლეზე, მის ცოდნასა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული. ამასთან, აღნიშნულის გამომწვევი მიზეზი, საქმეთა გადაჭარბებულ სიმრავლესა და მოსამართლეთა ნაკლებობას თუ არ ჩავთვლით, არაერთია.

ყველა თანხმდება, რომ ზოგადად, არ არსებობს ერთიანი სტანდარტი თუ როგორ უნდა იყოს დასაბუთებული განაჩენი თუმცა, იმისათვის, რომ მიღებულმა გადაწყვეტილებამ საზოგადოების ნდობა დაიმსახუროს, საჭიროა გასაგებად და ნათლად დასაბუთებული იყოს.

მოცემულ ნაშრომშიც საუბარი იქნება განაჩენთა დასაბუთების მნიშვნელობაზე, წარმოდგენილი იქნება პრაქტიკოსი იურისტის თვალით დანახული ის ზოგადი ასპექტები და თავისებურებები, რომლებიც მოსამართლეებს დაეხმარებათ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაში. ამასთან, განხილული იქნება განაჩენთა დასაბუთების როგორც ადგილობრივი კანონმდებლობა, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

1. სასამართლო განაჩენების დასაბუთების მნიშვნელობა

სასამართლოსა და მხარეებს შორის ურთიერთობის ერთ-ერთი სახე, წერილობითი ფორმით ურთიერთობაა, რაც შინაარსობრივად გულისხმობს სასამართლოს მიერ წერილობით მომზადებული გადაწყვეტილებებით (განაჩენებით) პასუხის გაცემას მხარეთა მიერ შეტანილ შუამდგომლობებთან და წარმოდგენილ არგუმენტებთან დაკავშირებით. საკმარისი არ არის, რომ გადაწყვეტილება იყოს მხოლოდ კანონიერი. ამავდროულად, აუცილებელია იგი იყოს დასაბუთებული და გასაგები ენით დაწერილი, რათა მხარეებმა, რომელთა სასარგებლოდ/საუარესოდ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, გაიგონ რა არგუმენტებზე დაყრდნობით მიიღო სასამართლომ კონკრეტული გადაწყვეტილება, მხარეთა რომელი მოსაზრებები გაითვალისწინა ან უარყო და რა გახდა დამდგარი შედეგის ძირითადი სამართლებრივი საფუძველი. სასამართლოს განაჩენების წერილობითი ფორმით ეფექტიანად მომზადება ემსახურება იმ მიზანს, რომ მხარეები დარწმუნდნენ მიღებული გადაწყვეტილების გონივრულობაში, კანონიერებასა და სამართლიანობაში. ის, თუ რას და როგორ ამბობს სასამართლო წერილობით მომზადებულ განაჩენებში, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის, თუ რას გადაწყვეტს იგი.

სასამართლოს განაჩენი მხარეებსა და საზოგადოებას აცნობს სასამართლოს დასკვნებსა და მათი მიღების დასაბუთებას. აუცილებლობის შემთხვევაში, განაჩენები კანონს განმარტავს არა მარტო მხარეებისა და მოსამართლეებისათვის, არამედ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებისა და დაინტერესებული საზოგადოებისათვის. ამასთან, მათი მომზადება მოსამართლეს აკისრებს ინ-

ტელექტუალურ პასუხისმგებლობასა და მისგან მოითხოვს, შეაფასოს და სათანადოდ დაასაბუთოს არგუმენტების საფუძვლიანობა.

გადაწყვეტილებამ სამართლიანად, ნათლად და ზუსტად უნდა წარმოადგინოს მნიშვნელოვანი ფაქტები და კანონის შესაბამისი სამართლებრივი ნორმები, მათი ანალიზით დაასაბუთოს დასკვნების სამართლიანობა. მნიშვნელოვანი ფაქტების არასწორად დადგენა ან უფლებამოსილების არასაკმარისად გამოყენება საფრთხეს უქმნის გადაწყვეტილების დამაჯერებლობას. ბუნდოვანი და ორაზროვანი წერა კი, ავტორის ნათელი აზროვნების ნაკლებობის შედეგია და გადაწყვეტილების მიზანს ვნებს.[1]

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს #11 დასკვნის მე-3 პუნქტის თანახმად, ნათელი დასაბუთებულობა და ანალიზი წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებების მიმართ წარდგენილ ძირითად მოთხოვნას და სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს სასამართლოებისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას ასევე, ეფექტიანი პროცესის დამკვიდრების ხელშეწყობას. ვალდებულება განხორციელებულად ითვლება, როდესაც მოსამართლეები სამართალწარმოებას ახორციელებენ სამართლიანად და სწორად, სამართალსა და ფაქტებზე დაყრდნობით, რისი საბოლოო მიზანი მოქალაქეებისათვის სარგებლის მოტანაა. სასამართლო გადაწყვეტილება მაღალი ხარისხის მქონედ ჩაითვლება თუ იგი აღწევს თავის სწორ მიზანს – იმდენად, რამდენადაც მოსამართლეთა ხელთ არსებული მატერიალური რესურსები ამის საშუალებას იძლევიან და აღწევს ამას სამართლიანად, სწრაფად, ცხადად და არაორაზროვნად. ამავე დასკვნის 34-36-ე პუნქტების თანახმად: გადაწყვეტილების ხარისხი მის დასაბუთებულობაზეა დამოკიდებული. ჩვეულებრივ, დასაბუთებულობა იმპერატიულად სავალდებულოა, და იგი არ უნდა იყოს უგულებელყოფილი სიჩქარის გამო. ჯეროვანი დასაბუთების მომზადება საჭიროებს შესაბამის დროს მოსამართლისაგან. დასაბუთებულობა აუცილებელია არამარტო იმისათვის, რომ მხარეების მიერ გაგებული იყოს გადაწყვეტილება, ასევე იმისათვისაც, რომ თავიდან ავიცილოთ თვითნებური გადაწყვეტილებების მიღება. ეს პრინციპი პირველ ყოვლისა, ავალებს მოსამართლეს უპასუხოს მხარეთა მოსაზრებებს და დააკონკრეტოს ის არგუმენტები, რაც ამართლებს გადაწყვეტილებას და მას კანონიერ გადაწყვეტილებად გახდის. მეორე რიგში, ეს პრინციპები ხელს უწყობენ საზოგადოებისათვის სასამართლო სისტემის ფუნქციონირების სწორად აღქმას. არგუმენტები უნდა იყოს თანმიმდევრული, ნათელი, არაორაზროვანი, არაწინააღმდეგობრივი. მკითხველს უნდა შეეძლოს მიჰყვეს იმ დასაბუთების განვითარების ჯაჭვს, რამაც განაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მიღება.[2]

იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ პროცედურული სამართლიანობის ორ მოდელს – ხელშეკრულებისა და სასამართლოს. ხელშეკრულების მოდელი ემყარება მხარეთა ავტონომიას, რომლებიც თანხმდებიან, თუ რა არის სამართლიანი და სავალდებულო. ეს შეთანხმება ეფუძნება კერძო ინტერესებს და არგუმენტაციას არ საჭიროებს. სასამართლოს მოდელში გადაწყვეტილებას იღებენ არა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეები, არამედ მესამე მხარე – სასამართლო, რომელმაც უნდა დაამტკიცოს თავისი სამართლიანობა და დამოუკიდებლობა. აქედან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მოითხოვს დასაბუთებას. ტერმინში „დასაბუთება“ იგულისხმება

არსებითი და დამაჯერებელი არგუმენტების წარმოდგენა კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილებისათვის. გამოყოფენ დასაბუთების ორ ტიპს – ე. წ. განმარტებით დასაბუთებას (Offenlegende begründung) და გამამართლებელ დასაბუთებას (Vertrerbarkeits begründung). სასამართლო გადაწყვეტილების არგუმენტაციისას დასაბუთების ორივე ტიპს დასაშვებად მიიჩნევენ. განმარტებითი დასაბუთების მთავარი ამოცანა იმის დემონსტრირებაა, რომ გადაწყვეტილების მიმღები მართალია. ხდება გადაწყვეტილების მიღების პროცესის ერთგვარი რეკონსტრუქცია. სასამართლო ასაბუთებს, რატომ მივიდა სწორედ ამ და არა სხვა დასკვნამდე. აქედან გამომდინარე, საბოლოო შედეგი უფრო გასაგებია გადაწყვეტილების ადრესატისათვის. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად ითვლება სახელმწიფო საქმიანობის გამართლების პრინციპი (das Gebot der Rechtfertigung staatlichen Handelns). მისი ამოცანაა ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის წონასწორობის დაცვა. ამ პრინციპის მოქმედება სასამართლოზეც ვრცელდება. დასაბუთების ვალდებულება ამ კონტექსტში ემსახურება იმ მიზანს, რომ სასამართლო ხელისუფლება არ გასცდეს თავისი კომპეტენციის ფარგლებს. გერმანიაში კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან გამოჰყავთ თვითნებობის აკრძალვის პრინციპი (Willkürsverbot). თუ სასამართლო არ ასაბუთებს გადაწყვეტილებას, მაშინ ის თვითნებურად და არაკონსტიტუციურად მოქმედებს. თვითნებობის ზღვარი გადალახულად მაშინ ითვლება, როდესაც სასამართლოს მიერ ნორმის განმარტებისა და გამოყენების გაგება შეუძლებელია რომელიმე რაციონალური მიდგომის გამოყენებით.[3]

სამართლებრივ სახელმწიფოში ნებისმიერ პირს ეძლევა თავისი უფლებების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა. სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს ინფორმაციის მიღებას სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელოვან გარემოებებზე, მხარეთა მიერ პოზიციის გამოხატვასა და სასამართლოს მხრიდან ამ პოზიციის შეფასებას. შეფასებაში მოიაზრება შესაბამისი დასაბუთება იმისა, თუ რატომ იქნა ან არ იქნა გათვალისწინებული მხარის არგუმენტაცია. გარდა ზემოაღნიშნულისა, სასამართლო დაცვის უფლება მოიცავს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში. გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა ხელს უშლის ამ შესაძლებლობის რეალიზაციას. თუ სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება არ იარსებებს, შეუძლებელი იქნება იმის გადამოწმება, თუ რამდენად დამოუკიდებელი იყო მოსამართლე მისი მიღებისას და მოქმედებდა თუ არა ის კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში. სასამართლოს დამოუკიდებლობას, მის ბოჭვას კონსტიტუციითა და კანონით და გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებენ. ამ თვალსაზრისით მიმართავენ შემდეგ არგუმენტაციას: მოსამართლე დამოუკიდებელია იმიტომ, რომ ის მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონზეა დამოკიდებული. იქიდან გამომდინარე, რომ მოსამართლე კონსტიტუციითა და კანონითაა შებოჭილი, ის ვალდებულია დაასაბუთოს გადაწყვეტილებები.

ხშირად, ადვოკატები დაცვას იმაზე აგებენ, რომ ბრალდებამ ვერ შეძლო პირის ბრალეულობის დადასტურება გონივრულ ეჭვს მიღმა. მართალია გადაწყვეტილების დასაბუთებისას მოსამართლე მრავალ საკითხს განიხილავს, მაგრამ მტკიცებულების საკმარისობა მსჯავრდებისათვის გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტით, ისეთი საკითხია, რომელზეც განმარტების წარსადგენად ყველა მოსამართლე მზად უნდა იყოს. დასაბუთება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმის განცხადებით,

რომ პირის ბრალეულობა დადასტურებულია ან უნდა დასტურდებოდეს გონივრულ ეჭვს მიღმა. აღნიშნულ საკითხზე კარგი დასაბუთების მოხერხებული მეთოდი არის მტკიცებულებებისა და სამართლებრივი საკითხების განხილვა წაყენებული ბრალის შემადგენლობის (დანაშაულის თითოეული ელემენტის) მიხედვით.[4]

შეჯიბრებითობის პრინციპის სწორად რეალიზებისა და განაჩენის გამოტანის შემდგომ წერილობითმა გადაწყვეტილებამ უნდა აჩვენოს, რომ მოსამართლემ უზრუნველყო პროცესის სამართლიანობა და ჯეროვნად გამოიყენა უდანაშაულობის პრეზუმფცია, მტკიცების სტანდარტი და მტკიცების ტვირთი. ეს არის ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც ასახავს მოსამართლის განაჩენის მოტივაციას. სააპელაციო სასამართლოს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსა და მხარეებს არ შეუძლიათ ესაუბრონ მოსამართლეს ან ჩაიხედონ მის გონებაში. მათ მხოლოდ შეუძლია წაიკითხონ ის, რაც დაწერა მოსამართლემ და როგორ ახსნა ეს დასაბუთების მეშვეობით.

შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს მხარეებისთვის თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებას, წარადგინონ მათი პოზიციის სასარგებლო მტკიცებულებები, არგუმენტები და ამ გზით მოახდინონ გავლენა გადაწვეტილების მიღებაზე. თუმცა, ეს არც ერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს მოსამართლეს თავისთავადი ვალდებულებისაგან, ითვალისწინებდეს და სწორად იყენებდეს სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს იმისგან დამოუკიდებლად, მხარე რამდენად ჯეროვნად ახერხებს საკუთარი ინტერესების დაცვას და მიუთითებს თუ არა მოსამართლეს სამართლის სათანადო წესებისა და პრინციპების გამოყენების აუცილებლობაზე.[5]

ამდენად, სასამართლოს განაჩენის დასაბუთებისას, მტკიცებულებების შეფასება უნდა მოხდეს დეტალურად, ზუსტად და იურისპრუდენციისა და შეჯიბრებითობითი პროცესის პრინციპების შესაბამისად. არ არის საკმარისი მხოლოდ მტკიცებულებების ჩამოთვლა და შემდგომ დასკვნის გაკეთება. გადაწყვეტილების დასაბუთებისთვის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს დანაშაულის ელემენტების ფორმულირება და მსჯელობა, თუ რატომ მიიჩნევა ან არ მიიჩნევა თითოეული ელემენტი დამტკიცებულად. თითოეული ელემენტის ფორმულირება და ამ ელემენტის შესაბამისი მტკიცებულების შეფასება ქმნის გადაწყვეტილების კარგ სტრუქტურას.

თითოეულ საქმეზე მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს ცალკეული სადავო საკითხები. თითოეული ამ საკითხის მკაფიო იდენტიფიცირებით, ფაქტობრივ და სამართლებრივ ჭრილში განხილვით, მოსამართლეს შეუძლია მიიღოს კარგად დასაბუთებული გადაწყვეტილება. შესაძლებელია სასარგებლო იყოს გადაწყვეტილების დასაწყისში ზოგადი საკითხების განხილვა, როგორიცაა ფაქტორები, რომლებიც იქნა მიღებული მხედველობაში მტკიცებულების სარწმუნოობისა და სანდოობის შეფასებისთვის და გამოყენებული მტკიცების სტანდარტი.[6]

სასამართლოს გადაწყვეტილების წერილობითი ფორმით ეფექტიანად მომზადება ემსახურება იმ მიზანს, რომ მხარეები დარწმუნდნენ მიღებული გადაწყვეტილების გონივრულობაში, კანონიერებასა და სამართლიანობაში. ის, თუ რას და როგორ ამბობს სასამართლო წერილობით მომზადებულ გადაწყვეტილებაში, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის, თუ რას გადაწყვეტს იგი. თითოეული გადაწყვეტილების წერისას მოსამართლემ საკუთარ თავს უნდა დაუსვას რამდენიმე კითხვა: 1. ასე იმიტომ ვწერ, რომ უფრო სწორია, თუ იმიტომ, რომ ასე ვარ მიჩვეული, ხომ არ არსებობს კიდევ

უფრო უკეთესი გზა? 2. ეს გადაწყვეტილება სწორედ ასე უნდა იყოს ჩამოყალიბებული? 3. დავწერო თუ არა ამ კონკრეტული ფაქტის ან არგუმენტის შესახებ? 4. განვიხილო თუ არა ეს საკითხი ვრცლად? 5. ჩავრთო თუ არა გადაწყვეტილებაში ეს ციტატა? 6. ეს წინადადება გასაგებია? 7. მასში ყველა სიტყვა საჭიროა და ა. შ.[7]

ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ დასაბუთებულ გადაწყვეტილებასა და მის მნიშვნელობაზე, იგულისხმება, რომ მოსამართლემ უზრუნველყო პროცესის სამართლიანობა, მტკიცების სტანდარტის დაცვა და მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება. მოსამართლემ მოახდინა ფაქტების სისტემური ანალიზი, მტკიცებულებათა შეფასება და შესაბამისი კანონმდებლობის გამოყენება. მხარეებს ნათლად და გასაგებად გაეცა სათანადო პასუხი მნიშვნელოვან არგუმენტებზე სასამართლოზე გამოკვლეული სანდო, ავთენტიკური და რელევანტური მტკიცებულების სწორად შეფასების შედეგად.

2. განაჩენის დასაბუთების ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოს სსსკ-ის 271-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, განაჩენი შედგება შესავალი, აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის თანახმად, განაჩენის შესავალ ნაწილში აღინიშნება: ა) რომ განაჩენი დადგენილია საქართველოს სახელით; ბ) განაჩენის დადგენის დრო და ადგილი; გ) განაჩენის დამდგენი სასამართლოს სახელწოდება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, ბრალმდებელი და ადვოკატი; დ) ბრალდებულის პერსონალური მონაცემები და მასთან დაკავშირებით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ცნობები; ე) სისხლის სამართლის კანონი, რომლითაც ბრალდებულს ბრალი წაუყენეს. განაჩენის ამგვარი სტრუქტურა და შესავალი ნაწილის შინაარსი საერთოა, როგორც გამამართლებელი, ასევე გამამტყუნებელი განაჩენებისათვის, რაც შეეხება აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილების სტრუქტურას განსხვავდება გამამართლებელი და გამამტყუნებელი განაჩენების მიხედვით და დამოუკიდებლად არის მოწესრიგებული საქართველოს სსსკ-ის 273-276-ე მუხლებით. განაჩენის შესავალ ნაწილს აქვს ფაქტობრივად მხოლოდ ტექნიკური დატვირთვა – ახდენს განაჩენის გამოტანის დროისა და ადგილის, განაჩენის გამომტანი სასამართლოს (მათ შორის, მისი შემადგენლობის), მხარეთა და ბრალდებულის იდენტიფიცირებას და რაიმე სამართლებრივი სირთულე მისი შედგენის დროს არ წარმოიშობა.

საქართველოს სსსკ-ის 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს: იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დადგენილად ცნო. ამასთან, განაჩენში მითითებული უნდა იყოს მისი ჩადენის ადგილი, დრო და ხერხი, ბრალის ფორმა, დანაშაულის მოტივი, მიზანი და შედეგი. განაჩენში აგრეთვე, მითითებული უნდა იყოს მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა და მოტივი, რომლის მიხედვითაც, სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო მეორე. ამასთან, აღნიშნული უნდა იყოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები, ხოლო თუ ბრალდების ნაწილი უსაფუძვლოდაა მიჩნეული ან დანაშაულის კვალიფიკაცია არასწორია – ბრალდებულის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის საფუძველი და მოტივები. ამავე

მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აგრეთვე, ვალდებულია დაასაბუთოს სასჯელის სახე და ზომა, პირობითი მსჯავრის გამოყენება, ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მინიმალურ ზღვარზე დაბალი სასჯელის დანიშვნა და ნაკლებად მკაცრ სასჯელზე გადასვლა, საპროცესო იძულების ღონისძიების გაუქმების ან შემდგომი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება.

რაც შეეხება გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილის ფორმასა და შინაარსს, მას განსაზღვრავს საქართველის სსსკ-ის 275-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება: წარდგენილი ბრალდების არსი, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ სასამართლოს დასკვნას ბრალდებულის უდანაშაულობის შესახებ; მოტივი, რომელიც ხსნის, თუ რატომ მიაჩნია სასამართლოს არასარწმუნოდ ან არასაკმარისად მტკიცებულება, რომელსაც ემყარებოდა წარდგენილი ბრალდება, ან/და რატომ მიაჩნია სასამართლოს, რომ არ არსებობს დანაშაულის შემთხვევა ან რომ ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული.[8]

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია სტანდარტი, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობას. მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი, რაც შინაარსობრივად გულისხმობს, რომ გარდა მტკიცებულებების ფორმალური სიმრავლისა, ეს მტკიცებულებები ასევე, უნდა იყოს უტყუარი და დამაჯერებელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადგენად აუცილებელია შეფასდეს თითოეული მტკიცებულების უტყუარობა, დამაჯერებლობა, რაც საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ყველა შემთხვევაში სავალდებულოა განაჩენის გამოტანის დროს. მტკიცებულებათა უტყუარობა უნდა შეფასდეს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: 1. თითოეული მტკიცებულება მათ შორის, მოწმის ჩვენება, შინაარსობრივად ხომ არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას; 2. თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებებს, თუ მათ შორის არის სხვადასხვა წინააღმდეგობა, რომელთა ხარისხის შეფასება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციაა; 3. რამდენად გულწრფელი და მიუკერძოებელია მოწმე, ხომ არ აქვს ფიზიკური ნაკლი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს მოვლენების ადეკვატურ აღქმაზე; 4. როგორ პირობებში მოხდა მტკიცებულებების ფორმირება, მაგალითად, გარემო პირობები - ცუდი ხილვადობა (ნისლი), ხალხმრავალი ადგილი, მანძილი მოწმესა და შემთხვევის ადგილს შორის და სხვა. მტკიცებულებების ამ კრიტერიუმებით შეფასებისა და მათზე განაჩენში სათანადო მსჯელობის გარეშე მტკიცებულებათა უტყუარობის სიღრმისეული შეფასება ფაქტობრივად შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში, უზენაესმა სასამართლომ ამ საკითხზე ქვედა ინსტანციის განაჩენში ასახული ზედაპირული მსჯელობა მტკიცებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობების არაარსებით ხასიათზე არაარგუმენტირებულად მიიჩნია და მიუთითა, რომ ზოგადი მსჯელობა არ პასუხობს კანონის მოთხოვნას მტკიცებულებათა უტყუარობის შეფასების სავალდებულობის შესახებ.[9]

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა

ერთობლიობას. სასამართლოს განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. შესაბამისად, ნათელია კანონმდებლის ნება დასაბუთების მაღალი სტანდარტის საპროცესო კანონმდებლობაში შემოტანის შესახებ. ეროვნულ სასამართლოებს აქვთ განაჩენში ყველა არსებით და მნიშვნელოვან კომპონენტებზე მსჯელობის მოვალეობა. მთავარი გამოწვევა და პრობლემა უკავშირდება არა იმ საკითხების იდენტიფიცირებას, რაც მითითებული უნდა იქნას განაჩენის სამოტივაციო ნაწილში, არამედ იმას, თუ როგორ და რა ფორმით უნდა განავითაროს მოსამართლემ არგუმენტირებული მსჯელობა.

3. განაჩენთა დასაბუთების ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში

გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება წარმოადგენს სამართლიანი განხილვის უფლების (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი) შემადგენელ ნაწილს. კონვენცია არ აკონკრეტებს რაიმე მოთხოვნებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული განაჩენები. ეს გასაკვირი არ არის იმის გათვალისწინებით, რომ წევრ სახელმწიფოებში განსხვავებული სამართლებრივი კულტურა და განსხვავებული სამართლებრივი მიდგომები არსებობს. მიუხედავად აღნიშნულისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-6(1) მუხლის კონტექსტში განმარტა, რომ სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულება ეკისრება.

ტერმინი „დასაბუთებულობა“ მჭიდრო კავშირშია ტერმინთან – „არგუმენტირება.“ ამ სტატიის მიზნებისთვის „არგუმენტირება“ ნიშნავს სამართლებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებას, მტკიცებულებათა შეფასებას ჩადენილი ქმედების დანაშაულებრიობის დასადგენად. სისხლის სამართლის საქმეზე ბრალეულობის დადგენა მოიცავს მსჯელობის სამ თანმიმდევრულ ეტაპს. პირველია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის ინტერპრეტაცია, რაც არის სამართლებრივი მეთოდოლოგიის საკითხი; მეორე არის ფაქტების დადგენა მტკიცებულებათა შეფასების შედეგად. ცხადია, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე უდანაშაულობის პრეზუმფცია უნდა იქნას გათვალისწინებული; მესამე საფეხური არის კანონის შეფარდება დადგენილ ფაქტებთან, რაც არის ყველაზე კომპლექსური პროცესი სამართლებრივი ინტერპრეტაციისა და მტკიცებულების შეფასების პრინციპების გათვალისწინებით. კონვენციის მე-6 მუხლის ტექსტში უშუალოდ არ არის ნახსენები სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობის საკითხი. თუმცა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ გარკვეულწილად, განავითარა და განავრცო ტერმინი „სამართლიანი განხილვა.“ ევროპულმა სასამართლომ თავის რამდენიმე გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ სასამართლოს განაჩენის დასაბუთება აუცილებელია, რათა კონვენციის მოთხოვნები და სამართლიანი სასამართლოს პრინციპი იყოს დაცული. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის მიხედვით, სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირს აქვს თავისი განაჩენის უფრო მაღალ ინსტანციაში ხელახალი განხილვის უფლება. ეფექტიანი გასაჩივრების უფლება ასევე, გულისხმობს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის დასაბუთებას, რაც გამომდინარეობს კონვენციის

მე-6(3)(ბ) მუხლიდან, რომელიც მოითხოვს, ბრალდებულს ჰქონდეს „საკმარისი შესაძლებლობა“ დაცვის მოსამზადებლად.[10] ამასთან, მეორე მხრივ, დასაბუთების ნაკლებობა საქმეში არსებული მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ ადვილად შეიძლება ჩაითვალოს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევად.[11]

საქმეში Taxquet v. Belgium ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მისი პრეცედენტული საქმეების მიხედვით, სასამართლოებისა და ტრიბუნალების გადაწყვეტილებებში ადეკვატურად უნდა იყოს ჩამოყალიბებული ის საფუძვლები, რომლებსაც ემყარება მათი გადაწყვეტილება. თუ რა ხარისხით უნდა იყოს წარმოდგენილი დასაბუთება, დამოკიდებულია თითოეული გადაწყვეტილების თავისებურებაზე და უნდა გადაწყდეს კონკრეტული საქმის გარემოებებზე დაყრდნობით.[12]

როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლოს მიერ მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულების სასარგებლო ერთ-ერთი არგუმენტი გასაჩივრების შესაძლებლობის უზრუნველყოფაა. გასაჩივრების უფლების ეფექტიანი განხორციელებისთვის პირს უნდა ჰქონდეს იმ მიზეზების შესწავლის საშუალება, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს თავდაპირველ გადაწყვეტილებას. როგორც სასამართლომ განაცხადა ჰაჯიანასტასიუს (Hadjianastassiou) საქმეში, „ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა ...მიუთითონ საკმარისი სიცხადით ის საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობითაც მიიღეს გადაწყვეტილება.“[13]

სამართლებრივი გადაწყვეტილების მიზეზების მოტანის აუცილებლობა მჭიდრო კავშირშია სამართლის, როგორც მეცნიერების ბუნებასთან. სამართალი უფრო ჰუმანიტარულ მეცნიერებებს მიეკუთვნება, ვიდრე საბუნებისმეტყველოს. სამართალში ამა თუ იმ მტკიცების სისწორის გარკვევა შეუძლებელია მეცნიერული ექსპერიმენტის მსგავსი მეთოდის გამოყენებით. აქ ჰიპოთეზის შემოწმება შესაძლებელია მხოლოდ მოტანილი მიზეზების საფუძველზე, რომლებიც უნდა იყოს ამომწურავი და ლოგიკური. მიზეზების გარეშე გადაწყვეტილებას ვერ ექნება პრეტენზია არა მარტო სიზუსტეზე, არამედ სამართლებრივი ხასიათის ქონაზე. შესაბამისად, არგუმენტირების გარეშე შეუძლებელი იქნება სწორი გადაწყვეტილების განსხვავება თვითნებურისაგან. სხვა სიტყვებით, გადაწყვეტილება, სადაც არ არის მოტანილი მისი მიღების საფუძვლები, შეიძლება არ იყოს თვითნებური თუმცა, ნამდვილად დატოვებს ასეთ შთაბეჭდილებას. აღსანიშნავია, რომ იტალიაში სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ან მასში ლოგიკის არარსებობა საკასაციო ინსტანციაში გასაჩივრების სპეციალური საფუძველია.[14] ამასთან, დ. ჰარისი მიუთითებს, რომ თუ წარმოდგენილ მასალას, მისი დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში, ექნება საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა, იგი საჭიროებს კონკრეტულ და გამოხატულ პასუხს სასამართლოს მხრიდან.[15]

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს დასაბუთება უნდა მოიცავდეს ყველა მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა მტკიცებულებების შეფასება და ფაქტების დადგენა, სამართლებრივი არგუმენტები და საპროცესო საკითხები. დასაბუთება შეიძლება გადმოიცეს შემოკლებული ფორმით, მაგალითად, იმ მუხლზე მითითებით, რომელიც საფუძვლად უდევს საჩივრის უარყოფას, თუ ეს საკმარისია სასამართლოს მოტივაციის გასაგებად.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ეს არ ნიშნავს, რომ მოსამართლემ გადაწყვეტილებაში (განაჩენში) მხარეთა მიერ გამოთქმული ყოველი კონკრეტული არგუმენტი უნდა მიმოიხილოს და თავისი

პოზიცია გამოხატოს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონვენცია არ მოითხოვს განაჩენის რომელიმე ერთი სტანდარტული ფორმით შემუშავებას. საკითხი, თუ რამდენად დააკმაყოფილა სასამართლომ განაჩენის დასაბუთების მოთხოვნა, ყოველ ცალკეულ საქმესთან დაკავშირებით ინდივიდუალურად განიხილება.

საქმეში Gradinar v Moldova სასამართლომ მიუთითა, რომ გადაწყვეტილების (განაჩენის) დასაბუთების ვალდებულება ხშირად გაგებულია, როგორც საქმის ყველა მნიშვნელოვან ასპექტზე მსჯელობის ვალდებულება. თუ სასამართლო სრულიად დუმს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მხრიდან სერიოზული პროცედურული დარღვევები, ეს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების (კონვენციის მე-6(1) მუხლის) დარღვევას წარმოადგენს. სასამართლომ ასევე, დაადგინა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა ისეთ შემთხვევაში, როდესაც შიდა სასამართლოებმა დუმილი ამჯობინეს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ აღნიშნული კანონის მთელ რიგ სერიოზულ დარღვევებსა და რამდენიმე არსებითი მნიშვნელობის საკითხზე მათ შორის, იმ გარემოებაზე, რომ ბრალდებულს ალიბი ჰქონდა მკვლელობის სავარაუდო დროსთან დაკავშირებით.[16]

მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ავალდებულებს სასამართლოებს დაასაბუთონ თავიანთი განაჩენები, მაგრამ ეს არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხი უნდა იქნას გაცემული. საკითხი, თუ რამდენად შეასრულა სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულება, შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით.[17]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ექსპერტის დასკვნას, რომელიც იყო მნიშვნელოვანი მტკიცებულება დაცვის მხარისათვის, პირველი ინსტანციის სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია. აღნიშნული დასკვნა შეიძლება გადამწყვეტი ყოფილიყო იმის დასადგენად, თუ რამდენად წარმოადგენდა ის ქმედებები სისხლის სამართლის დანაშაულს, რომლებიც პირს ბრალად ედებოდა. სააპელაციო სასამართლოს წინაშე განმცხადებლის არგუმენტი იყო ექსპერტის დასკვნა, რომელიც უკანონოდ იქნა უარყოფილი სასამართლოს მიერ. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ არგუმენტზე კონკრეტული და გასაგები პასუხი უნდა გაცემულიყო. ამგვარი პასუხის არარსებობის პირობებში შეუძლებელია იმის დადგენა, სააპელაციო სასამართლომ უბრალოდ უგულებელყო განმცხადებლის მიერ წარდგენილი არგუმენტები, თუ იგი უბრალოდ არ გაიზიარეს და თუ ეს იყო მისი განზრახვა, რა მიზეზებმა განაპირობა ასეთი გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს სრული დუმილი საექსპერტო დასკვნის უარყოფის კანონიერების შესახებ, არ შეესაბამება სამართლიანი სასამართლო განხილვის კონცეფციას, რამაც მე-6 მუხლის დარღვევა გამოიწვია.[18]

მნიშვნელოვანი მტკიცებულების უარყოფის კონტექსტში, განსაკუთრებით საინტერესო საქმეა Vetrenko v Moldova, სადაც სასამართლომ მიუთითა, რომ მართალია მის კომპეტენციაში არ შედის საქმის ფაქტობრივი გარემოებების თავიდან გადასინჯვა ან „მეოთხე ინსტანციის სასამართლოს“ სახით მოქმედება და განმცხადებლის ბრალეულობის ან უდანაშაულობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუმცა, მოცემულ საქმეში ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ არ განიხილეს განმცხადებლის ალიბი, რომელიც მას ჰქონდა მკვლელობის ღამეს. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი

ეხებოდა დაცვის ერთ-ერთ უძლიერეს არგუმენტს, იგი სათანადოდ არ შეფასდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ვერ დაინახა რაიმე მისაღები განმარტება შიდა სასამართლოების გადაწყვეტილების გასასამართლებლად. სამართალწარმოების პირველ ეტაპზე გაამართლეს განმცხადებელი და იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს განაჩენში რაიმე ახალი მტკიცებულების არსებობაზე საუბარი არ იყო, განმცხადებელს მსჯავრი დასდეს სამართალწარმოების მეორე ეტაპზე, უგულებელყვეს რა, ის გარემოებები, რომელთა გამო მანამდე ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენი იქნა მიღებული.[19]

ევროპის ქვეყნების უზენაესი სასამართლოები განსხვავდებიან ერთმანეთისგან მათი განაჩენების სტილით. ზოგიერთ ქვეყანაში მაღალი ინსტანციის სასამართლოების განაჩენები საკმაოდ გრძელია (ზოგადი სამართლის სისტემები), ხოლო ზოგიერთ სხვა სისტემაში ისინი მოკლეა (საფრანგეთის მაღალი ინსტანციის სასამართლოების სტილი). ცნობილია, რომ სამართალწარმოების დროს ერთი მხრივ, მოსამართლეები არ არიან ვალდებული შემოიფარგლონ უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული გადაწყვეტილებებით და მათ უფლება აქვთ გადაუხვიონ ამ მოთხოვნებიდან, თუ მათ ამისთვის ლეგიტიმური მიზეზი აქვთ. ეს მიდგომა უკვე არაერთგზის გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ. თუმცა, მეორე მხრივ, მოუწოდა ფრთხილი მიდგომისკენ და აღნიშნა, რომ საჭიროა თავის შეკავება არაგანჭვრეტადი გადახვევისაგან და მოუწოდა უზენაეს სასამართლოებს დაასახელონ ის მიზეზები, თუ რატომ მოხდა გადახვევა დადგენილი პრაქტიკიდან, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი ბრალდებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შეეხო.[20]

ამდენად, საქმის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომელის შესახებაც სასამართლო არ შეიძლება დუმდეს, ხშირად დამოკიდებულია მხარეთა მოქმედებებზე. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო არ არის ვალდებული, მხარეების მიერ წარდგენილ ყველა არგუმენტს შეეხოს (განსაკუთრებით თუ საქმე ეხება მხარის მიერ წარდგენილ გრძელ სამართლებრივ არგუმენტაციას), ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია, რომ სასამართლომ საქმის განხილვის პროცესში წარდგენილი ყველაზე მნიშვნელოვანი და საკვანძო არგუმენტები მიმოიხილოს, გამოთქვას თავისი მოსაზრება და სათანადოდ დაასაბუთოს საკუთარი ხედვა ამა თუ იმ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით.

დასკვნა

ნებისმიერმა ქვეყანამ, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ ააშენოს თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო, უნდა იზრუნოს ძლიერი სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბებაზე. ამისათვის ბევრი წინაპირობაა შესასრულებელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და ავტორიტეტი, რომლის მთავარი საზომი ინდიკატორი ხალხის ნდობაა. ნდობის მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი კი, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სათანადოდ დასაბუთებაა.

დაუსაბუთებელი განაჩენები, გარდა იმისა, რომ უნდობლობით განმსჭვალავს საზოგადოებას სასამართლოს მიმართ, ასევე არღვევს გასაჩივრების უფლებას. დასაბუთებული განაჩენი პირს ეხმარება საჩივარი შეადგინოს წარმოდგენილი არგუმენტების გამოყენებით და საკითხები დააყენოს

კითხვის ნიშნის ქვეშ. თუ სასამართლო გადაწყვეტილება დასაბუთებული არ იქნება, შეუძლებელია იმის გადამოწმება, თუ რამდენად დამოუკიდებელი იყო მოსამართლე მისი მიღებისას და მოქმედებდა თუ არა ის კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში.

სასამართლოს დასაბუთებული განაჩენი მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ შეამცირებს ზემდგომ ინსტანციებში აპელაციის ფაქტებს, გასაჩივრებული გადაწყვეტილებების განხილვას კი, გაამარტივებს, რადგან ზემდგომი ინსტანციის მოსამართლეს ნათელი სურათი ექნება საქმის განმხილველი მოსამართლის არგუმენტაციის შესახებ. განაჩენთა დასაბუთების ვალდებულება ასევე, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის – სამართლიანი განხილვის უფლების შემადგენელ ნაწილს და მისი ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არა ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა.

სასამართლო არის ადგილი, სადაც ადამიანი თავისი უფლებების დაცვის მიზნით მიმართავს მას და მოელის მისგან კანონიერ, დასაბუთებულ და სამართლიან გადაწყვეტილებას. პროცესის მონაწილე მხარეებმა უნდა ირწმუნონ, რომ სასამართლომ მოისმინა მათი ყველა არგუმენტი, უარყო ან დაეთანხმა მათ. ყოველივე აღნიშნული კი, ზრდის საზოგადოების ნდობას სასამართლო ხელისუფლების მიმართ. განაჩენთა ხარისხის განმსაზღვრელი, კანონიერებასთან ერთად, მისი დასაბუთებულობაა, რომელიც უსამართლობის განცდას არ უტოვებს მოქალაქეს, მით უფრო, რომ საზოგადოების უმეტეს ნაწილს გარემოებებისა და კანონის ობიექტურად აღქმა შეუძლია. აქედან გამომდინარე, განაჩენთა დასაბუთებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსამართლეების მხრიდან, რადგან ჯეროვანი მართლმსაჯულების განხორციელება მის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

შენიშვნები:

1 ავტორთა კოლექტივი, სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015, გვ. 239.

2 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2008 წლის 18 დეკემბრის #11 დასკვნა.

3 სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება, ცნება, მნიშვნელობა, ფუნქციები, მეთოდიკა, ეტაპები და უმნიშვნელოვანესი პრინციპები, გვ. 1-3, http://www.library.court.ge/upload/sasamarTlo_gadawyvetilebis_dasabuTeba_cneba_mniSvneloba.pdf.

4 ნეფი ს., წნორიაშვილი ნ., აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის კომენტარები, სასამართლოს გადაწყვეტილებების შედგენისას ძირითადი წესების შესახებ, 2014, გვ. 2.

5 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება, §21.

6 გადაწყვეტილებათა დასაბუთება – ექსპერტ კევინ ჰიუს მოსაზრებები; სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, 2015, გვ. 166.

7 იხ.: სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის შესახებ, თბილისი, 2015, გვ. 239-240.

8 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 271-276 მუხლები.

9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის №397აპ-14 განაჩენი.

10 სუნდე ლ. კ., სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობის ევროპული პერსპექტივა, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. კორკელია კ., თბილისი, 2010, გვ. 149-163.

11 HIGGINS AND OTHERS v. FRANCE, ECHR, (Application no. 134/1996/753/952)), 19 February 1998.

12 TAXQUET v. BELGIUM, ECHR, (Application no. 926/05), 16 November 2010.

13 HADJIANASTASSIOU v. GREECE, ECHR, (Application no. 12945/87), 16 December 1992.

14 ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2009, გვ.127.

15 D. Harris et.al. Law of the European Convention on Human Rights, Oxford, 2009, p. 34.

16 GRĂDINAR v. MOLDOVA, ECHR, (Application no. 7170/02), 8 April 2008.

17 KRASULYA v. RUSSIA, ECHR, (Application no. 12365/03), 22 February 2007.

18 KRASULYA v. RUSSIA, ECHR, (Application no. 12365/03), 22 February 2007.

19 VETRENKO v. MOLDOVA, ECHR, (Application no. 36552/02), 18 May 2010.

20 ATANASOVSKI v. THE FORMER YUGOSLAV REPUBLIC OF MACEDONIA, ECHR, (Application no. 36815/03), 14 January 2010.

ბიბლიოგრაფია:

1. ავტორთა კოლექტივი, სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;
3. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2008 წლის 18 დეკემბრის #11 დასკვნა;
   სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება, ცნება, მნიშვნელობა, ფუნქციები, მეთოდიკა, ეტაპები და უმნიშვნელოვანესი პრინციპები, http://www.library.court.ge/upload/sasamarTlo_gadawyvetilebis_dasabuTeba_cneba_mniSvneloba.pdf;

4. ნეფი ს., წნორიაშვილი ნ., აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის კომენტარები, სასამართლოს გადაწყვეტილებების შედგენისას ძირითადი წესების შესახებ, 2014;
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება;
6. სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის შესახებ, თბილისი, 2015.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის №397ა3-14 განაჩენი;
8. სუნდე ლ. კ., სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობის ევროპული პერსპექტივა, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. კორკელია კ., თბილისი, 2010;
9. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2009;
10. D. Harris et.al. Law of the European Convention on Human Rights, Oxford, 2009;
11. HIGGINS AND OTHERS v. FRANCE, ECHR, (Application no. 134/1996/753/952)), 19 February 1998;
TAXQUET v. BELGIUM, ECHR, (Application no. 926/05), 16 November 2010;
HADJIANASTASSIOU v. GREECE, ECHR, (Application no. 12945/87), 16 December 1992;
GRĂDINAR v. MOLDOVA, ECHR, (Application no. 7170/02), 8 April 2008;
KRASULYA v. RUSSIA, ECHR, (Application no. 12365/03), 22 February 2007;
VETRENKO v. MOLDOVA, ECHR, (Application no. 36552/02), 18 May 2010;
ATANASOVSKI v. THE FORMER YUGOSLAV REPUBLIC OF MACEDONIA, ECHR, (Application no. 36815/03), 14 January 2010.

SUBSTANTIATED JUDGEMENT AS CRUCIAL PART OF PROPER JUSTICE

LEVAN TEVZADZE
Judge of Tbilisi Court of Appeals
Head of Criminal Law Case Chamber
Doctor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Law

This scientific article concerns importance of substantiated judgement in implementation of criminal law. Relevant attention was given to the issue of substantiating judgements in accordance with criminal legislation of Georgia and precedential law of European Court of Human Rights. Generally, there is no unified standard what the substantiated judgement is, however, in order to earn trust of the society, received decision should be substantiated understandably and clearly. This shall serve to the aim, that the parties will be convinced that the judgement on criminal case is reasonable, legal and just. What and how the court say is as important as what the court decides.

Court is the place which the person addresses in order to protect the rights and expects legitimate, substantiated and just decision from it. Apart from the fact that the unsubstituted decisions prejudices society with mistrust towards the courts, it also violates right of appeal and just inspection, that are protected with Convention on Human Rights and Fundamental Freedoms. Substantiated judgement assists the person to conclude the appeal with arguments and question the issues presented. If the decision is not substantiated, it is impossible to revise how independent the judge was while making this decision or was he acting in the limits of Constitution and law.

Substantiation is defining quality of the judgment, together with legality, that does not leave citizen with feeling of injustice. Moreover, majority of society is able to objectively perceive events and laws. Consequently, special attention should be paid to substantiation of judgments from the judges, as implementation of proper justice is practically impossible without it.

საქმე №1/ბ-849-18

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

18 აპრილი, 2019 წელი თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატა

მოსამართლე ლევან თევზაძე

სხდომის მდივანი: ეკატერინე ჯიქია, გიორგი სვანიძე

სხდომის სახე - ღია;

ბრალდების მხარე:
პროკურორი - ზ. ყ-ი, დ. გ-ე;

დაცვის მხარე:
ადვოკატები - ო. მ-ი, ვ. თ-ე.

მსჯავრდებული - ბ. მ-ის ძე ყ-ი, დაბადებული --- წლის -- -- (წარსულში - პ. მ-ის ძე ყ-ი, დაბადებული --- წლის -- ---, რომლის კანონიერი მონაცემები დაზუსტებული იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2017 წლის 26 სექტემბრის N--/დ დასკვნით), საქართველოს მოქალაქე, პირადი №---, მცხოვრები: თბილისი, ----

მსჯავრდებული - დ. გ-ის ძე ა-ე, დაბადებული -- წლის -- ---, საქართველოს მოქალაქე, პირადი №---, მცხოვრები: თბილისი, -----;

ბ. ყ-ის ქმედების კვალიფიკაცია:
საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'' და მე-3 ნაწილის ,,ბ'' ქვეპუნქტები (თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, დიდი ოდენობით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ).

დ. ა-ის ქმედების კვალიფიკაცია:

საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'' და მე-3 ნაწილის ,,ბ'' ქვეპუნქტები (თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, დიდი ოდენობით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ).

სასჯელი:
თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 25 მაისის განაჩენით:

ბ. ყ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

დ. ა-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

აღწერილობით - სამოტივაციო ნაწილი:

მხარეთა პოზიციები:

მსჯავრდებულმა დ. ა-ემ და მისი ინტერესების დამცველმა დვოკატმა (აპელანტი) მოითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 25 მაისის განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა იმ საფუძვლით, რომ უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლოა. თბილისის საქალაქო სასამართლომ განაჩენი გამოიტანა მოწმეთა ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებებზე დაყრდნობით. საქმეზე მოპოვებული მასალებით არ არის დადასტურებული დ. ა-ის ბრალეულობა. სასამართლოს მიერ მოყვანილი არგუმენტებით არ დასტურდება მის მიერ დანაშაულის ჩადენა. განაჩენში მოყვანილი მტკიცებულებები არ წარმოადგენს უტყუარ, ავთენტურ და რელევანტურ მტკიცებულებათა შეთანხმებულ ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები ეჭვს მიღმა სტანდარტით არ იძლევა საკმარის საფუძველს დ.ა-ის მიერ დანაშაულის ჩადენისათვის. მსჯავრდებულმა ბ.ყ-მა, რომელმაც თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ ჩადენილ ქმედებაში, სასამართლოს აჩვენა, რომ რაიმე წინასწარი მოლაპარაკება თაღლითური გზით სადავო მიწის ნაკვეთის ხელში ჩასაგდებად დ.ა-ან არ ჰქონია. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ადმინისტრაციული სარჩელი მტკიცებულებებთან ერთად თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი იქნა უშუალოდ ლ. ე-ის მიერ, მისი ხელმოწერით, ხოლო დ.ა-ე როგორც ბ.ყ-ის წარმომადგენელი ნამდვილად უწევდა იურიდიულ დახმარებას ლ.ე-ს, თუმცა მტკიცებულებების შეკრება, სარჩელზე დართვა და სასამართლოში შეტანა განხორციელებული იყო სწორედ ლ.ე-ის მიერ. ბ.ყ-ის ჩვენებით, ვინაიდან მან ვერ გადაუხადა დ.ა-ეს შეთანხმებული საადვოკატო ჰონორარი, იძულებული გახდა გადაეფორმებინა --- ქ.№-- მდებარე მიწის ნაკვეთი, რომლის შემდგომი რეალიზაციის მიზნით

ანაზღაურდებოდა სრულად პირადი და საადვოკატო ხარჯები, რაც დ.ა-ის მიერ გაწეულ იქნა ამ ადმინისტრაციული საქმის წარმოებასთან დაკავშირებით. მოწმე ლ.ე-ის სასამართლოზე მიცემული ჩვენებით, ასევე დადასტურებული იქნა, რომ არავითარი წინასწარი მოლაპარაკება ბ.ყ-სა და დ.ა-ეს შორის თაღლითური გზით ქონების ხელში ჩაგდების თაობაზე არ ყოფილა ამ მიწის ნაკვეთის შესახებ. დ.ა-ის საქმეში ადვოკატად ჩართვამდე, ქ.მოსკოვში მყოფმა ბ.ყ-მა დახმარება სთხოვა ლ.ე-ს, რაზეც ამ უკანასკნელის თანხმობა მიიღო. მოწმის ჩვენებით, მიწის ნაკვეთის დ.ა-ზე საჯარო რეესტრში გადაფორმება ბ.ყ-ის მიერ მხოლოდ იმ მოტივით განხორციელდა, რომ გაწეული შრომის შემდეგ ბ.ყ-მა ვერ გადაუხადა გასამრჯელო ადვოკატს, რის გამოც ნდობის გამოხატვისა და სამომავლოდ მიწის ნაკვეთის გასხვისების შემდეგ, თანხის ანაზღაურების მოტივით გადაუფორმა მიწის ნაკვეთი ადვოკატ დ.ა-ეს. სასამართლო პროცესზე დადასტურდა, რომ დ.ა-ეს მასზე დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთი არც მიუთვისებია და არც გაუსხვისებია. 2008-2009 წლებში, ამ მიწის ნაკვეთზე დაწყებული სასამართლო განხილვების დროს, დ.ა-ემ განცხადებით მიმართა სასამართლოს მიწის ნაკვეთის დათმობის და სხვა პირებზე გადაფორმების შესახებ. გამოძიების მიერ მოპოვებული იქნა მტკიცებულება, რომელიც ეხება პროკურატურის დავალებით ლ.ე-სა და ბ.ყ-ის ძმის ო. თ-ის ფარული მიყურადების ფონოგრამას, განხორციელებულს 2009 წლის 24 სექტემბერს, სადაც ლ.ე-ი ო.თ-ს სატელეფონო საუბრისას აძლევს რჩევა-დარიგებებს და მითითებებს, თუ როგორ უნდა აიცილოს პასუხისმგებლობა და ყველაფერი დააბრალოს ამ საქმეში მონაწილე ადვოკატს, სავარაუდოდ დ.ა-ეს. სისხლის სამართლის საქმეში განთავსებულია შპს „--“ ბლანკზე ყალბი აუდიტორული დასკვნის ქსეროასლი და არა დედანი. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი დოკუმენტების ქსეროასლებს არ შეიძლება მიეცეს ოფიციალური მტკიცებულების სახე, თუ აღნიშნული დოკუმენტების ფიქტიურობა, ნაწილობრივ მაინც არ იქნება დადასტურებული ამ დოკუმენტის გამცემი წყაროს ან რაიმე სხვა ობიექტურად დადგენილ გარემოებებთან შესაბამისობაში. კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეში აუდიტის დასკვნაზე ხელმოწერას და დოკუმენტის ავთენტურობას უარყოფს შპს „--“ ყოფილი დირექტორი. ასევე, აღნიშნულ ფირმაში დასკვნის შემკვეთის ვინაობა დადგენილი არ არის. საარქივო დოკუმენტები 2002 წელს გაცემული, აღნიშნული აუდიტის დასკვნის არც ორიგინალი და არც ასლი მოძიებული ვერ იქნა. გამოძიებით ვერ დადგინდა დასკვნაზე დამოწმებული ბეჭდის, გერბის ნამდვილობა. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ 2008 წლიდან, როცა აღნიშნულ საქმეზე დაიწყო გამოძიება, პროკურატურის მიერ დაზარალებულ მხარედ მიჩნეული და ცნობილი იყო ამხანაგობა ---“, რომლის თავმჯდომარე გახლავთ თ. ს-ე. საქმის გამოძიების დამამთავრებელ ეტაპზე, 2016 წლის 6 აპრილს, პროკურატურამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დაზარალებულად ცნო საქართველოს კონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ისე რომ დღემდე სამინისტროს ხელმძღვანელობას ოფიციალურად საერთოდ არ მოუთხოვია ამ საქმეზე დაზარალებულად ცნობა ან რაიმე ზიანის ანაზღაურება. გამოძიებამ ხელი მოაწერინა სამინისტროს წარმომადგენელს ზ.წ-ს დაზარალებულად ცნობის დადგენილებაზე, რომელიც დათარიღებულია 2016 წლის 6 აპრილით, იმ დროს, როცა ზ.წ-ს საქმეში მონაწილეობის და წარმომადგენლობის უფლებამოსილება მხოლოდ 2016 წლის 8 აპრილიდან ჰქონდა მინიჭებული. სასამართლომ არანაირი რეაგირება არ მოახდინა იმ ფაქტზე, რომ დ. ა-ემ ჯერ კიდევ 2008 წლის 5 ნოემბერს განახორციელა -- ქ.№---ის დ.ა-ის სახელზე მიწის საკუთრების გაუქმება. ამასთანავე, 2009 წლის 30 აპრილს საერთოდ გამოითხოვა ლ. ე-ის მიერ 2006 წელს ბ.ყ-ის სახელით სასამართლოში შეტანილი სარჩელი, რომლის საფუძველზეც გაუქმებული იქნა პ.ყ-ის სახელზე სადავო მიწის რეგისტრაცია. ამდენად, დ. ა-ე აღნიშნულ ურთიერთობებში მოქმედებდა როგორც

ბ.ყ-ის ადვოკატი და მისი ინტერესების დამცველი. მას რეალურად რაიმე გამორჩენა ამ საქმეში არ მიუღია და არავითარი მატერიალური ზიანი სახელმწიფოსთვის არ მიუყენებია.

სახელმწიფო ბრალმდებელმა (აპელანტი) მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 25 მაისის განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის დამძიმების კუთხით, მსჯავრდებულების ბ. ყ-სა და დ. ა-ის მიმართ უფრო მკაცრი სასჯელების განსაზღვრა, ვინაიდან მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს მძიმე კატეგორიის დანაშაული, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ ქ.თბილისში, -- ქ.№-ში მდებარე მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდით --), რომლის საბაზრო ღირებულება 2007 წლის მდგომარეობით, შეადგენდა ერთ კვადრატულ მეტრზე 190 აშშ დოლარს, ჯამში 87000 აშშ დოლარის ოდენობით. (144 420 ლარი), ამასთან, დ. ა-ე არ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, ხოლო ბ. ყ-ი თავს ნაწილობრივ ცნობს დამნაშავედ. მსჯავრდებულების მიერ არა თუ არ ანაზღაურებულა მიყენებული ზიანი, ისინი მზადყოფნასაც კი არ გამოხატავენ ზიანის ანაზღაურების თაობაზე და დაზარალებულის წარმომადგენელსაც გააჩნია პრეტენზია მათ მიმართ. შესაბამისად, დ. ა-ის და ბ. ყ-ის მიმართ გამოყენებული უნდა იყოს უფრო მკაცრი სასჯელი.

მსჯავრდებულმა ბ. ყ-მა მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 25 მაისის განაჩენის უცვლელად დატოვება, ვინაიდან დანიშნული სასჯელი არის სამართლიანი, თავს ნაწილობრივ ცნობს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა:

2006 წელს ბ. (პ.) ყ-მა განიზრახა ქ. თბილისში, აბაშიძის და რაზმაძის ქუჩებს შორის მდებარე 500 კვ.მ.-მდე სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოტყუებით მოპოვება. აღნიშნულის განხორციელების მიზნით, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ დახმარება სთხოვა დ. ა-ეს. დ. ა-ის რჩევით, ბ. (პ.) ყ-ის რწმუნებულმა ლ.ე-მა, 2006 წლის 03 ნოემბერს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და ითხოვა ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. 2006 წლის 08 ნოემბერს მარეგისტრირებელი ორგანოსგან მიღებული უარის შემდეგ, დ. ა-ის მითითებით, ბ. (პ.) ყ-მა 2006 წლის 13 დეკემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და ითხოვა ქ. თბილისში, -- ქ. №--ში მდებარე მიწის ნაკვეთზე აღრიცხულიყო გარდაცვლილი დედის თ. ბ-ი - ყ-ის საკუთრება.

ბ. (პ.) ყ-მა და დ. ა-ემ სასარჩელო განცხადებაში და სასამართლო განხილვების მიმდინარეობისას დამალეს ის ფაქტი, რომ 1952 წლის ნასყიდობის ხელშეკურლების საფუძველზე შეძენილი საცხოვრებელი ბარაკის სანაცვლოდ თ. ბ-ის ოჯახმა ქ. თბილისში, -- ქ. №--ში მდებარე ახალაშენებულ კორპუსში მიიღო საცხოვრებელი ბინა და 1952 წლის ხელშეკრულებაში მითითებული მიწის ნაკვეთი აღარ ეკუთვნოდა მას. სასარჩელო განცხადებაზე დასართავად და საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, დ. ა-ემ მოიპოვა 2002 წლის 15 ივნისით დათარიღებული ყალბი აუდიტის დასკვნა, რომელიც 1952 წლის ნასყიდობის ხელშეკრულებასთან და სხვა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად წარდგენილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, 2007 წლის 16 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის მიერ მიღებული იქნა

განჩინება, რომლითაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2007 წლის 16 აგვისტოს თ.ბ-ი ცნობილ იქნა ქ. თბილისში, -- ქ. N--ში მდებარე 458 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი ---) მესაკუთრედ.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებით, ბ. (პ.) ყ-ი და დ. ა-ძე თაღლითურად დაეუფლნენ 144 420 ლარად ღირებულ, სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთს.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა:

ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დადასტურდა დ. ა-ის მხრიდან თაღლითობის ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტი.

ქმედების სამართლებრივი აღწერა:

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა შემდეგი:

მოწმე **თ. ს-ის** ჩვენებით დადგინდა, რომ თავმჯდომარეობს ამხანაგობა „მეგობრობა 42“-ს, რომელიც შეიქმნა -- ქ. N--ში (ყოფილი ვ. ბარნოვის N--) მცხოვრებ მობინადრეთა უფლებების დაცვის მიზნით. 1958 წელს ამხანაგობის მიერ შეძენილი იქნა მიწის ნაკვეთი, რომელიც მოიცავდა ამჟამინდელი -- ქ.N--ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ფართობს და მოსაზღვრე -- ქ. N19, N21 და N23-ის ტერიტორიას. -- ქუჩაზე მდებარე ბარაკული ტიპის სახლები დაინგრა და მათ მესაკუთრეებს -- ქუჩაზე მშენებარე N--ში კორპუსში გადაეცათ საცხოვრებელი ბინები. -- ქ. N-ში ცხოვრობდა სამი ოჯახი, მათ შორის თ. ბ-ის, რომელმაც ბარაკის სანაცვლოდ მშენებარე კორპუსში სამოთახიანი ბინა მიიღო. თ.ბ-ის გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილებმა - ო.თ-მა და პ.ყ-მა გაყიდეს ბინა და სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად. მიწის ნაკვეთი, რომელიც ეზოდ და გამწვანებულ ზოლად ესაზღვრება ი. აბაშიძის ქ. N42 კორპუსს, 1992 წლიდან შემოღობილია და ბარაკების აღების შემდეგ მასზე რაიმე შენობა-ნაგებობა არ დგას. 2008 წლამდე ამხანაგობას ზემოხსენებული უძრავი ქონების გასაფორმებლად, ფინანსური რესურსების არქონის გამო, ქალაქ თბილისის მერიისა და საჯარო რეესტრის შესაბამისი სამსახურებისათვის არ მიუმართავს. 2008 წელს კი მისთვის ცნობილი გახდა, რომ ზემოაღნიშნული მიწის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში ჯერ თ. ბ-ი დარეგისტრირდა, შემდეგ კი მისი შვილები - ო. თ-ი და პ. ყ-ი. საკითხში გასარკვევად დაიწყო იმ საბუთების კვლევა-ძიება, რომლებიც საფუძვლად დაედო მიწის ნაკვეთის უკანონო რეგისტრაციას და დაადგინა, რომ ნაკვეთის რეგისტრაცია მოხდა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელსაც საფუძვლად დაედო ყალბი აუდიტორული დასკვნა, ბარნოვის ქუჩაზე მცხოვრები პირების განცხადება და ადვოკატ დ. ა-ის მიერ სასამართლოში წარდგენილი სხვა დოკუმენტაცია. ამ მტკიცებულებების და სხვა დოკუმენტების დეტალურად გაცნობისას აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი მათგანი შეიცავდა ყალბ მონაცემებს, რის გამოც მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და საგამოძიებო ორგანოს. საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე, -- ქ. N--ში მდებარე მიწის ნაკვეთი არაერთხელ გაიყიდა, რამაც შეუძლებელი გახადა უკანონოდ დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ამხანაგობისთვის დაბრუნება.

ანალოგიური ჩვენება მისცა სასამართლოს მოწმე **ნ. მ-ემ.**

მოწმე **ზ.პ-ის** სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებით გაირკვა, რომ ქ. თბილისში, --ქ. N-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული ერთსართულიანი სახლის ერთი მესამედი მისმა ბაბუამ იყიდა, ერთი მესამედი თ. ბ-მა, დარჩენილი მესამედი კი ნ. პ-ის იყო. ამხანაგობა „--“-ის მიერ აღნიშნულ ტერიტორიაზე აშენდა საცხოვრებელი კორპუსი, სადაც მას და მის ოჯახის წევრებს, ბარაკული ტიპის საცხოვრებელი სახლის ფართის სანაცვლოდ, უსასყიდლოდ გადაეცათ სამოთახიანი ბინა; ასევე სამოთახიანი ბინა მისცა ამხანაგობამ პ. ყ-ის და ო. თ-ის დედას თ. ბ-ს. დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, -- ქ.N--ში მდებარე მიწის ნაკვეთი, გადავიდა ამხანაგობის საკუთრებაში და აშენდა კორპუსი, ბარაკების მესაკუთრეებს არ დარჩენიათ არანაირი საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე და ამასთან დაკავშირებით ამხანაგობასთან რაიმე პრეტენზიაც არასოდეს ჰქონიათ. 2008 წელს იგი ამხანაგობის სხვა წევრებთან ერთად დაიბარეს პოლიციაში, სადაც შეიტყო, რომ მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებული იყო პ. ყ-ის სახელზე. მიწის უკანონოდ გადაფორმებასთან დაკავშირებით ამხანაგობის წევრებს ჰქონდათ სამოქალაქო დავა, რის შედეგადაც მიწის დაბრუნება ვერ მოხერხდა, რადგან პ. ყ-ის მიერ ყალბი დოკუმენტით საკუთრების უფლების დარეგისტრირების შემდეგ, იგი გაიყიდა სხვა პირებზე და დღეის მდგომარეობით უძრავ ქონებას ჰყავს კეთილსინდისიერი მესაკუთრე.

მოწმე **ლ. ე-ის** ჩვენებით დადგინდა, რომ პ. ყ-ი მისი ახლობელია, დ. ა-ე კი - მისი ადვოკატი. 2006 წელს პ. ყ-ან შეიტყო, რომ ყოფილ საცხოვრებელ ადგილას, ქ. თბილისში, -- ქუჩაზე მდებარე მისი ოჯახის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის თავის სახელზე გაფორმება სურდა. პ. ყ-მა მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის წარმოების დაწყებისა და საჭირო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის მას გაუფორმა მინდობილობა, რადგან თავად იმ პერიოდში ხშირად უწევდა საზღვარგარეთ წასვლა. არქივიდან შესაბამისი საბუთების მოძიების შემდეგ მიმართეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სადაც მიწის რეგისტრაციაზე ეთქვათ უარი. პ. ყ-ის მითითებით, დაუკავშირდა ადვოკატ დ. ა-ეს, რომელიც აქტიურად ჩაერთო პროცესში, შეკრებილ დოკუმენტაციას დაურთო აუდიტის დასკვნა და თბილისის საქალაქო სასამართლოში შეატანინა სარჩელი. სასამართლომ 2007 წელს მიიღო განჩინება, რომლის საფუძველზეც მიწის ნაკვეთი ჯერ დარეგისტრირდა პ. ყ-ის დედის - თ. ბ-ის სახელზე, შემდეგ კი მის მემკვიდრეებზე - ო.თ-სა და პ. ყ-ზე. მოგვიანებით, ვინაიდან პ. ყ-ნი ვეღარ უხდიდა გასამრჯელოს დ. ა-ეს საადვოკატო მომსახურებისათვის, მას ქ. თბილისში -- ქ. N--ში მდებარე მიწის ნაკვეთი გადაუფორმა. სასამართლოში არსებულ საქმეში ის პ. ყ-ის მინდობილობის საფუძველზე, მისივე დავალებით იყო ჩართული, რა დროსაც მხოლოდ ტექნიკურ დახმარებას უწევდა დ. ა-ეს, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა დოკუმენტაციის მოპოვების პროცედურებს და სასამართლოში წარმართულ საქმეს. მოწმის განმარტებით, მერე ბ.ყ-ან გაიგო, რომ აუდიტის დასკვნა შეიცავდა ყალბ მონაცემებს, მაგრამ ვინ მოიპოვა აღნიშნული დასკვნა არ იცის, ალბათ დ. ა-ემ.

მოწმე **ა. ბ-ის** ჩვენებით გაირკვა, რომ 1960-იან წლებში ცხოვრობდა -- ქუჩაზე, პ. ყ-ის მეზობლად და მეგობრობდა მასთან. ბარაკების დანგრევის შემდეგ პ. ყ-ი თავის ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა აბაშიძის ქუჩაზე მდებარე კორპუსში. ბარაკების ადგილას არანაირი შენობა-ნაგებობა არ დარჩენილა, იყო მხოლოდ მიწის ნაკვეთი. დაახლოებით 2008-2010 წლებში პ. ყ-მა მას და სხვა ძველ მეზობლებს სთხოვა ხელმოწერით დაედასტურებინა 1952 წელს აღებულ საცხოვრებელ ბარაკში მისი და მისი ოჯახის ცხოვრების ფაქტი. პ. ყ-ის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს მან, ი. ი-მა, ს. ბ-მა და სხვებმა წაკითხვის გარეშე მოაწერეს ხელი. მოგვიანებით, გამომძიებლის მიერ ამ დოკუმენტის გაცნობის შედეგად მისთვის ცნობილი გახდა, რომ დოკუმენტზე ხელმოწერით მან და მასთან ერთად მყოფმა სხვა პირებმა დაადასტურეს 2002 წელს ქ. თბილისში, -- ქ. N--ში შენობა-ნაგებობის ნანგრევების არსებობის ფაქტიც, რაც სინამდვილეს არ

შეესაბამება, რადგან 1961 წლის შემდეგ ბარაკების ტიპის საცხოვრებელი სახლები, სადაც წარსულში პ. ყ-ი ცხოვრობდა, იყო დანგრეული, ხოლო ტერიტორია მოსწორებული.

მოწმე **ა. ბ-ის** ჩვენებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურეს მოწმეებმა **მ. ნ-მა** და **თ. კ-ამ.**

სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებული მოწმე **თ. თ-ის** ჩვენებით ირკვევა, რომ 1996 წელს დ. ა-ან და კ. რ-ან ერთად დაარსა აუდიტორული კომპანია „--“. კ. რ-ო მალევე გავიდა მათი ფირმიდან და ის დ. ა-ან ერთად მუშაობდა წლების განმავლობაში. აღნიშნული აუდიტორული კომპანია 2003-2004 წლის შემდეგ აღარ ფუნქციონირებდა, არც დაკვეთები ჰქონდათ, არც ოფისი და იგი ლიკვიდირებულ იქნა. მოწმე თ. თ-მა დაადასტურა, რომ 2002 წლის 15 ივნისით დათარიღებული აუდიტორული დასკვნა, არ არის „--“ მიერ შესრულებული, რადგან ამ პერიოდში არც პ. ყ-ს მოუმართავს მისთვის მსგავსი დასკვნის მომზადების თხოვნით და არც თავად მოუმზადებია ამ შინაარსის დოკუმენტი.

დაზარალებულის წარმომადგენლის ზ. წ-ის ჩვენებით დადგინდა, რომ მუშაობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფოს ქონების ეროვნული სააგენტოს დეპარტამენტში, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ქონების აღრიცხვასა და მონიტორინგს. სახელმწიფოს შესაძლოა გააჩნდეს დაურეგისტრირებელი ქონება მთელი საქართველოს მასშტაბით. დაურეგისტრირებელი, აღურიცხავი უძრავი ქონება წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, ისევე, როგორც ქონება, რომელზეც ფიზიკურ პირს არ გააჩნია საკუთრების უფლების დამადასტურებელი სამართალდამდგენი დოკუმენტი. ამდენად, ვინაიდან მოცემულ საქმეზე ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ფიზიკურ პირზე გაფორმდა დაურეგისტრირებელი უძრავი ქონება, აღნიშნული უკანონო ქმედებით დაზარალებულ სუბიექტს წარმოადგენს სახელმწიფო, მითუფრო, რომ მიყენებული ზიანი დღეის მდგომარეობით ანაზღაურებული არ არის.

1952 წლის 5 აგვისტოს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად, დ. ც-მა თ.ბ-ს მიჰყიდა 496 კვ. მ. ფართის მიწაზე განთავსებული ერთსართულიანი, ოროთახიანი სახლის ერთი მესამედი ნაწილის უფლება.

1987 წლის 23 სექტემბრის კანონიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის თანახმად, გარდაცვლილი თ. ყ-ის მემკვიდრეებად ცნობილი იქნენ მისი შვილები - პ. ყ-ი და ო. თ-ი. სამკვიდრო ქონებას წარმოადგენდა მხოლოდ თბილისში, -- ქ. N--ში (ამჟამად -- N--ში) მდებარე სახლის წილი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 15 ნოემბრის №-- გადაწყვეტილების მიხედვით, 2006 წლის 3 ნოემბერს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს პ. ყ-მა წარუდგინა განცხადება, რომლითაც ითხოვა -- ქ. N--ში არსებულ ბინაზე/ერთეულზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია და განმცხადებელს სარეგისტრაციო წარმოების აღძვრაზე ეთქვა უარი.

2006 წლის 13 დეკემბრის სასარჩელო განცხადების თანახმად, პ. ყ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა 1952 წლის 05 აგვისტოს ხელშეკრულების ნამდვილობისა და მის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის დადგენის მოთხოვნით. პ.ყ-მა სასამართლოს სთხოვა ბათილად ეცნო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 15 ნოემბრის --- გადაწყვეტილება და დაევალებინა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისთვის

1952 წლის 05 აგვისტოს ხელშეკრულებით შეძენილი უფლების რეგისტრაციაში გატარება. სარჩელში პ.ყ-ის მიერ მითითებული იქნა, რომ ცხოვრობდა ქ. თბილისში, -- ქ. N--ში მდებარე, 2002 წელს მიწისძვრით დაზიანებულ სახლში.

ზემოაღნიშნულ სასარჩელო განცხადებაზე დართული აუდიტის დასკვნის თანახმად, იგი გაცემულია 2002 წლის 15 ივნისს აუდიტორიული კომპანია „---“ დირექტორ თ. თ-ის მიერ, პ.ყ-ის დავალების საფუძველზე. დასკვნაში აღნიშნულია, რომ შეფასების ობიექტს წარმოადგენს ავარიულ მდგომარეობაში მყოფი, ერთსართულიანი, 40 კვ.მ ფართის, მიწისძვრისგან დაზიანებული სახლი, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, -- ქ. N---ში, დაახლოებით 500 კვ.მ. შემოღობილ ნაკვეთზე.

შპს აუდიტორული კომპანია „--“ წესდების მიხედვით, იგი დაფუძნებულია 1996 წელს დ.ა-ის, კ. რ-ს და თ. თ-ის მიერ.

თ. ბ-ი-ყ-ის მეზობლების განცხადების თანახმად, მასზე ხელისმომწერი პირები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ქ. თბილისში, -- ქ. N--ში მდებარე ერთსართულიანი სახლის მესაკუთრე იყო თ. ბ-ი, რომლის გარდაცვალებიდან მოყოლებული განცხადების ხელმოწერის დღემდე სახლს ფლობდნენ და განკარგავდნენ მისი შვილები - პ. ყ-ი და ო. თ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის N-- გადაწყვეტილებით, პ. ყ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა სარეგისტრაციო წარმოების ჩატარება და თბილისში, -- ქ. N--ში მდებარე, 1952 წლის 5 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულებით შეძენილი ქონების თ. ბ-ის სახელზე აღრიცხვა.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, 2007 წლის 16 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის N-- გადაწყვეტილების, 1952 წლის 05 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულების და მიწის ნაკვეთის გეგმის საფუძველზე, თ. ბ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხა ქ. თბილისში, -- ქ. N--ში მდებარე 458 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი - --).

2007 წლის 17 აგვისტოს გაცემული სამკვიდრო მოწმობის მიხედვით, პ. ყ-მა და ო. თ-მა, როგორც თ.ბ-ის პირველი რიგის მემკვიდრეებმა (წრიდან შვილები), საკუთრებაში მიიღეს სამკვიდრო ქონება - 458 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მდებარე თბილისში, -- ქ. N--ში.

2008 წლის 14 ივნისის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, პ. ყ-მა დ. ა-ეს მიჰყიდა უძრავი ქონება - თბილისი, -- ქ. N--ში მდებარე 458 კვ. მ მიწის ნაკვეთი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 ნოემბრის N-- გადაწყვეტილებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „-- “-ის თავმჯდომარე თ. ს-ის განცხადება დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის N-- გადაწყვეტილება.

ბრალდებულ **ბ.ყ-ის** მიერ სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით მიცემული ჩვენებით დადგინდა, რომ ქ. თბილისში, -- ქ. N--ში მდებარე უძრავი ქონების ნაწილის ყიდვის შემდეგ, თ. ბ-მა ხელშეკრულება გააფორმა კოოპერატიულ მშენებლობასთან, რომლის მიხედვითაც, ამ ნაკვეთის სანაცვლოდ ეძლეოდა საცხოვრებელი ბინა. აღნიშნული ხელშეკრულებით 1952 წელს ნაყიდი ქონებით თ. ბ-ი ამხანაგობისგან იღებდა საცხოვრებელ ფართს. 1960-იან წლებში, როცა მშენებლობა თითქმის დასრულდა, ოჯახთან ერთად გადავიდა ახალ ბინაში. ვინაიდან ეგონა, რომ ზემოაღნიშნული შეთანხმებით მიწის ნაკვეთისა და სახლის ნაწილი კვლავ რჩებოდა მის

საკუთრებაში, მოიძია საჭირო დოკუმენტაცია და მიწის ნაკვეთების რეგისტრაციასთან დაკავშირებით პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, მიმართა საჯარო რეესტრს, თუმცა უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამის შემდეგ, დაუკავშირდა დ. ა-ეს, გადასცა დოკუმენტები, გაუფორმა მინდობილობა, თავად კი წავიდა მოსკოვში. დაახლოებით ორი წლის შემდეგ, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ქ. თბილისში, -- ქ. N--ში მდებარე მიწის ნაკვეთი მიეკუთვნა მის დედას - თ. ბ-ს. სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, საჯარო რეესტრმა, ერთი მესამედის ნაცვლად, თ.ბ-ის სახელზე შეცდომით დაარეგისტრირა სრული ფართი - 458 კვ.მ. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მიწა დაარეგისტრირა თავის სახელზე და დატვირთა იპოთეკით, ხოლო მოგვიანებით, ვინაიდან დ.ა-ეს ვეღარ უხდიდა გასამრჯელოს, გადაუფორმა მას. პირველად, რეგისტრაციასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის შეგროვებისას, ძველ მეზობლებს ხელი მოაწერინა არასწორი შინაარსის შემცველ დოკუმენტზე, იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ -- ქ. N--ში მდებარე მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა მის საკუთრებას. 2003 წლის აუდიტის დასკვნა მისი გაყალბებული არ არის, მასზე ხელმომწერ პირს თ. თ-ს არ იცნობს და არ იცის აუდიტის დასკვნა საიდან გაჩნდა საქმეში.

პირველი ინსტანციის სასამართლოში ჩვენების მიცემისას ბრალდებულმა **დ.ა-ემ** თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასამართლოში განმარტა, რომ ბ. ყ-ი და ლ. ე-ი ცდილობენ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული გადააბრალონ მას. მის მიერ არ მომხდარა ყალბი აუდიტის დასკვნის არც დამზადება და არც გამოყენება, რაც დასტურდება არქივის მასალებით, რომელთა თანახმადაც თავდაპირველი სარჩელი ადმინისტრაციულ სასამართლოში შეტანილი იქნა 2006 წლის აპრილის თვეში ლ. ე-ის მიერ, თავად კი საქმეში ჩაერთო მოგვიანებით, 2006 წლის 22 აპრილს, მოსკოვიდან ბ. ყ-ის მიერ გამოგზავნილი, 2006 წლის 19 აპრილით დათარიღებული მინდობილობის თარგმნისა და სანოტარო წესით დამოწმების შემდეგ.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ დ. ა-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'' და მე-3 ნაწილის ,,ბ'' ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება დადასტურებულ ვერ იქნა საქმეში წარმოდგენილი და სასამართლოში გამოკვლეული ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლის მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის დადგენილ გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ მაღალ სამართლებრივ სტანდარტს, ხოლო ბ. ყ-ის მიმართ საქმეზე წარმოდგენილია ეჭვის გამომრიცხავ, ურთიერთშეთანხმებულ და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც ობიექტურ პირს გონივრულ ეჭვს მიღმა დაარწმუნებდა, რომ მის მიერ ჩადენილია საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'' და მე-3 ნაწილის ,,ბ'' ქვეპუნქტებით (თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, დიდი ოდენობით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ) გათვალისწინებული ქმედება.

განაჩენის ნაწილობრივ შეცვლის დასაბუთება (სამართლებრივი შეფასება)

პალატა გაეცნო და შეისწავლა საქმეში არსებული მასალები, მოისმინა მხარეთა პოზიციები და მიაჩნია, რომ ქ.თბილისის პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორ გ. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ

უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ დ. ა-ის და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის ვ. თ-ის სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატა სრულად იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოტივაციას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'' და მე-3 ნაწილის ,,ბ'' ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდების ნაწილში ბ. ყ-ის დამნაშავედ ცნობის შესახებ. ამასთან, საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში და ვინაიდან მოცემულ საქმეზე ბრალდების მხარის მიერ განაჩენი გასაჩივრებულია მსჯავრდებულ ბ. ყ-ის მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილში, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლოს დასკვნები და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ბ.ყ-ის ბრალეულობასთან დაკავშირებით მიიჩნევა დადასტურებულად.

სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების, ანუ თაღლითობის, როგორც სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლების, ობიექტია საკუთრებითი ურთიერთობები, ხოლო საგანს წარმოადგენს სხვისი უძრავი ან მოძრავი ქონება, ასევე სხვის ქონებაზე უფლება. ობიექტური მხრივ, თაღლითობის თავისებურება მისი ჩადენის ხერხში მდგომარეობს. ქონების დაუფლება ან ქონებაზე უფლების მიღების საშუალებაა მოტყუება, რაც თავისთავად არ გულისხმობს სხვისი ქონების დაუფლებას, მაგრამ მისი დახმარებით ხდება ძირითადი მოქმედება. მოტყუება, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხი, შედის თაღლითობის დანაშაულის შემადგენლობაში. ამ დროს აუცილებელია დადგინდეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი და სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლება, ასევე ბრალდებულის მხრიდან მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა აღნიშნული ქმედების განხორციელებაში. თაღლითობის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანი - მოტყუება გულისხმობს ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯებას ან გარკვეულ გარემოებათა განზრახ დაფარვას ქონების მესაკუთრის შეცდომაში შეყვანის მიზნით, რაც შეიძლება განხორციელდეს წინასწარი შეცნობით ცრუ მონაცემების შეტყობინების საფუძველზე, ან იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დაფარვით, რომლის შეტყობინება სავალდებულო იყო დაზარალებულისათვის.

თაღლითობა ასევე ხშირად დაკავშირებულია ყალბი დოკუმენტების წარდგენასთან, რაც თითქოსდა კანონიერ საფუძველს ქმნის დამნაშავისათვის ქონების (თანხის) გადაცემისათვის. ამ შემთხვევაში ყალბი დოკუმენტის გამოყენება, როგორც მოტყუების ერთ-ერთი სახე, წარმოადგენს თაღლითობის კონსტრუქციულ ელემენტს. ფიქტიური დოკუმენტის წარდგენით დამნაშავე ამტკიცებს იმ არარსებული ფაქტებისა და გარემოებების არსებობას, რომლებიც თითქოსდა აძლევენ მას ქონების მიღების ,,კანონიერ'' უფლებას.

სასამართლო მიუთითებს, იმისათვის რომ წარდგენილი ბრალდებით პირის მსჯავრდება მოხდეს, უნდა არსებობდეს შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დადასტურდება ბრალდებულის დანაშაულებრივი კავშირი ამ ფაქტთან და მხოლოდ ამის შემდეგ შეფასდება ქმედება სამართლებრივად. მოცემულ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისია ქმედების სამართლებრივი შეფასებისათვის, კონკრეტულად ჰქონდა თუ არა დ. ა-ის მხრიდან ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენას ადგილი, რასაც ბუნებრივია გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქმედების სწორი კვალიფიკაციისა და პირის დამნაშავედ ცნობისათვის.

ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ 2006 წლის 3 ნოემბერს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს განცხადებით მიმართა პ. ყ-მა და მოითხოვა -- ქ.N--ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია, რაზეც 2006 წლის 3 ნოემბერს ეთქვა უარი. 2006 წლის 13 დეკემბერს, პ. ყ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 15 ნოემბრის N-- გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და სარეგისტრაციო სამსახურისთვის 1952 წლის 5 აგვისტოს ხელშეკრულებით შეძენილი უფლების რეგისტრაციაში გატარების დავალების მოთხოვნით.

სასარჩელო განცხადებაზე მოსარჩელის მიერ დართული და სასამართლოში წარდგენილი იქნა 2002 წლის 15 ივნისს აუდიტორიული კომპანია „--“ დირექტორ თ. თ-ის მიერ გაცემული აუდიტის დასკვნა, რომლის თანახმადაც შეფასების ობიექტს წარმოადგენს ავარიულ მდგომარეობაში მყოფი, ერთსართულიანი, 40 კვ.მ ფართის, მიწისძვრისგან დაზიანებული სახლი, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, -- ქ. N--ში, დაახლოებით 500 კვ.მ. შემოღობილ ნაკვეთზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით, პ. ყ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა სარეგისტრაციო წარმოების ჩატარება და თბილისში, -- ქ. N--ში მდებარე, 1952 წლის 5 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულებით შეძენილი ქონების თ. ბ-ის სახელზე აღრიცხვა.

2007 წლის 16 აგვისტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის N-- გადაწყვეტილების, 1952 წლის 5 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულების და მიწის ნაკვეთის გეგმის საფუძველზე, თამარ ბიბილურის სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხა ქ.თბილისში, -- ქ. N---ში მდებარე 458 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი - --).

სააპელაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ბრალდების მხარის მიერ დ.ა-ის ბრალეულობის დამადასტურებლად წარმოდგენილ მოწმეთა ჩვენებებზე. კერძოდ, მოწმე ლ. ე-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მას შემდეგ, რაც პ.ყ-ს 2006 წელს უარი ეთქვა მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაზე, პ. ყ-ის მითითებით დაუკავშირდა ადვოკატ დ. ა-ს, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დოკუმენტების მოძიებას და პროცესების წარმართვას, თავად კი ტექნიკურ დახმარებას უწევდა დ. ა-ს. არქივიდან მოიძიეს რაღაც საბუთები, დაურთეს ეს ყველაფერი სარჩელს და შეიტანეს სასამართლოში. როგორც ახსოვს იყო დაბადების მოწმობები, 1952 წლის ნასყიდობის ხელშეკრულება, შეიძლება აუდიტის დასკვნაც იყო, არ ახსოვს. სარჩელი მან გადაწერა, რომელიც ალბათ დ. ა-ის ოფისში მისცეს. შემდეგ პ. ყ-ან გაიგო, რომ აუდიტის დასკვნა შეიცავდა არასწორ მონაცემებს, ხოლო ბრალდების მხარის შეკითხვაზე, მოწმემ განმარტა, რომ მისთვის უცნობია ვინ წარმოადგინა აღნიშნული აუდიტის დასკვნა, ალბათ ბატონმა დ. ა-მო. მან ასევე დაადასტურა, რომ ვინაიდან პ. ყ-ი დ. ა-ს საადვოკატო მომსახურებისათვის ვეღარ უხდიდა გასამრჯელოს, მას ქ.თბილისში -- ქ. N--ში მდებარე მიწის ნაკვეთი გადაუფორმა. ამდენად, ლ. ე-ის ჩვენება დ. ა-ის მიერ ყალბი აუდიტის დასკვნის მოპოვების და სასამართლოში წარდგენის ნაწილში მხოლოდ ვარაუდს ეფუძნება და არ იძლევა ზუსტ ინფორმაციას, რის გამოც სასამართლო მხედველობაში სრულად ვერ მიიღებს. ამასთან, მოწმე ლ.ე-ის ჩვენების არასანდოობაზე მიუთითებს საქმეში წარმოდგენილი ფარული

საგამოძიებო მოქმედების - სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შედეგად მიღებული კრებსები, რომლის თანახმადაც, 2009 წლის 24 სექტემბერს ლ.ე-ი ესაუბრება ო-ის, რომელსაც აძლევს მითითებებს და ეუბნება „რო დაგიბარებენ, ისე არ წახვიდე რო მე არ მნახო, მერე გნახავ და გეტყვი რა იყო და როგორ უნდა თქვა.“ არც მსჯავრდებულ პ. ყ-ის ჩვენებით დადგინდა, რომ დ. ა-ს უშუალო შემხებლობა ჰქონდა ყალბი აუდიტის დასკვნის წარდგენასთან. პ. ყ-ის სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებით, დ. ა-ე მინდობილობის საფუძველზე სასამართლოში იცავდა მის ინტერესებს, რომელთანაც პროცესების მიმდინარეობისას ჰქონდა აქტიური კომუნიკაცია. მას შემდეგ, რაც მიწის ნაკვეთი გადაიფორმა, ვალების გამო დატვირთა იპოთეკით, ხოლო მოგვიანებით, ვინაიდან დ. ა-ეს ვეღარ უხდიდა გასამრჯელოს, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით მას გადაუფორმა. აუდიტის დასკვნის შესახებ პირველად შეიტყო გამოძიებაში, მისთვის უცნობია თუ ვის მიერ იყო აღნიშნული აუდიტის დასკვნა შედგენილი და სასამართლოში წარდგენილი. დასკვნაზე ხელის მომწერ თ.თ-ს არ იცნობს, ხოლო წარმოდგენილი საქმის მასალებით დადგენილი და უდავოა, რომ დ. ა-ე იყო ბ. ყ-ის ნდობით აღჭურვილი პირი და მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ დავაზე წარმომადგენლობას ახორციელებდა პ.ყ-ის მიერ მის სახელზე 2016 წლის 16 მაისიდან 2007 წლის 12 მაისამდე გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტაციას, რომ დ. ა-ის მიერ დანაშაულის ჩადენა დასტურდება მიწის რეგისტრაციის პროცესში უშუალოდ ჩართული სხვა პირის - ლ. ე-ის ჩვენებით და აღნიშნავს, რომ მტკიცებულებათა ერთობლიობის დროს, დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულება უნდა არსებობდეს. მოწმე ლ. ე-ი ერთმნიშვნელოვნად არ ადასტურებს დ. ა-ის მიერ რაიმე სახის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტს. ასეც, რომ იყოს მხოლოდ ერთი პირის ჩვენება ვერ დაედება საფუძვლად პირის მსჯავრდებას და გამამტყუნებელ განაჩენს (იხ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №251ა3-16; 462ა3-16, №404ა3-16, №560ა3-16). მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე კი ვერ იქნა წარმოდგენილი არათუ მტკიცებულებათა ერთობლიობა, არამედ ერთი რომელიმე პირდაპირი მტკიცებულებაც კი, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებდა დ. ა-ის მიერ ყალბი დოკუმენტის შექმნას.

სააპელაციო სასამართლო დამატებით ყურადღებას ამახვილებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 მაისის განჩინებაზე, რომლითაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა სარეგისტრაციო წარმოების ჩატარება და ქ. თბილისში, -- ქ. N--ში მდებარე, 1952 წლის 5 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულებით შეძენილი ქონების თ. ბ-ის სახელზე აღრიცხვა. სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძველი გახდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უკანონო და დაუსაბუთებელი უარი რეგისტრაციაზე, რაც ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს. სასამართლომ ჩათვალა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს პ. ყ-ის განცხადების განხილვისას უნდა ემოქმედა იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილი ვადებით და არა 1997 წლის 25 ნოემბრიდან ძალდაკარგული კანონის ნორმის საფუძველზე, მიუთითა „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმის საფუძვლები და არ ითვალისწინებს სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმას იმ მოტივით, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება თავისდროულად არ არის რეგისტრირებული ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში. უფრო მეტიც, უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღებისას საერთოდ არ უმსჯელია 2002 წლის 15 ივნისით დათარიღებულ აუდიტის დასკვნაზე. ამდენად, დ. ა-ის მიერ ყალბი აუდიტის მოპოვების და წარდგენის შემთხვევაშიც კი, სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიცია ვერ იქნებოდა გაზიარებული, რადგან უშუალოდ ამ დასკვნის მხედველობაში მიღების გარეშე მოსამართლის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის თაობაზე.

რაც შეეხება ბრალდების მხარის მიერ დასკვნით სიტყვაში ჩამოყალიბებულ პოზიციას, რომ ვინაიდან ლ. ე-ი ენდობოდა დ. ა-ეს, სარჩელზე დართული და სასამართლოში წარსადგენი დოკუმენტები არ გადაუმოწმებია, პალატა აღნიშნავს, რომ პროკურორი მიუთითებს მხოლოდ მისთვის სასარგებლო არგუმენტებზე, რომლებიც ლ. ე-ის ჩვენებიდან არ გამომდინარეობს. პალატისთვის გაუგებარია, თუ რატომ მიიჩნევს ლ. ე-ის ჩვენებას სანდოდ იმ ნაწილში, რომელიც ყალბი აუდიტის წარდგენას ეხება და არ იზიარებს ვალის არსებობის გამო დ. ა-ის მიწის ნაკვეთის გადაფორმების ნაწილში. ბრალდების მხარე ასევე აპელირებს მსჯავრდებულ ბ. ყ-ის ჩვენებაზე, რომ დ. ა-ემ იცოდა ნაკვეთის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების შესახებ, რაც ასევე ვერ იქნება თაღლითობაში დ. ა-ის მონაწილეობის დამადასტურებელი, ვინაიდან ბ.ყ-ი თავის ჩვენებაში არ აზუსტებს, კონკრეტულად რა პრობლემების შესახებ იყო ცნობილი დ. ა-ის.

სააპელაციო პალატა ასევე ვერ დაეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, იმის შესახებ, თითქოს დ. ა-ის მიერ ყალბი მტკიცებულების მოპოვებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ყალბი შინაარსის შემცველი აუდიტის დასკვნა დატანილია სწორედ იმ კომპანიის ბლანკზე, რომლის დამფუძნებელსაც დ. ა-ე წარმოადგენდა. მხოლოდ ის გარემოება, რომ შპს აუდიტორული კომპანია „--“ დაფუძნებულია 1996 წელს დ. ა-ის, კ. რ-ს და თ. თ-ის მიერ, დ.ა-ის მიერ ყალბი აუდიტის დასკვნის მოპოვების დამადასტურებელი ვერ იქნება. მითუფრო მაშინ, როდესაც საქმის მასალებში ერთი მტკიცებულებაც კი არ არსებობს, რომელიც აღნიშნულ ფაქტს ამტკიცებს. დ. ა-ის მიერ აუდიტის დასკვნის გაყალბების ფაქტი ვერ იქნა დასაბუთებული და დადასტურებული სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, რომლებიც უტყუარად დაადასტურებდა დ. ა-ის მონაწილეობას დოკუმენტის გაყალბებაში და წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისობისა და დამაჯერებლობის თვალსაზრისით არ იძლევა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დადგენილად მიჩნევისა და მისი სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სასამართლო სხდომაზე დაკითხულ არცერთ მოწმეს არ დაუფიქსირებია, რომ აუდიტის დასკვნის გაყალბება მოხდა დ. ა-ის მიერ. ამ მიმართებით, მნიშვნელოვანია მოწმე თ. თ-ის გამოძიებაში მიცემული და საქმის არსებითი განხილვისას გამოქვეყნებული ჩვენება, რომლის მიხედვითაც, აუდიტორული კომპანია 2003-2004 წლის შემდეგ აღარ ფუნქციონირებდა, არც დაკვეთები ჰქონდათ, არც ოფისი, ვინაიდან ლიკვიდირებული იყო. 2002 წლის 15 ივნისით დათარიღებული აუდიტორული დასკვნა, არ არის „--“ მიერ შესრულებული. ამ პერიოდში არც პ. ყ-ს მოუმართავს მისთვის მსგავსი დასკვნის მომზადების თხოვნით და არც თავად მოუმზადებია ამ შინაარსის დოკუმენტი. პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ საქმეში წარმოდგენილია აუდიტის დასკვნა დაუმოწმებელი ასლის სახით, რაც საეჭვოს ხდის აღნიშნული დასკვნის ავთენტურობას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ საქმის კანონიერი გადაწყვეტა ემყარება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს, რომელთა გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე დგინდება საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო ფაქტობრივი გარემოებების

სწორ დადგენაზეა დამოკიდებული სასამართლოს მიერ ქმედებისათვის სწორი იურიდიული კვალიფიკაციის მიცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს მიერ საქმეზე ფაქტების კვალიფიციურ დადგენასა და საქმეში დაცული მტკიცებულებების, მოწმეთა ჩვენებების სწორ შეფასებას. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ სწორად და სამართლიანად შეამოწმოს მტკიცებულებების სანდოობა, საიმედოობა და სიზუსტე *(იხ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე ,,ხანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ" (Khan v. the United Kingdom), no 35394/97, 34; ,,ბუკოვი რუსეთის წინააღმდეგ" (Bykov v. Russia), no.4378/02, 95*).

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილი გარემოებები, სრულიად გამორიცხავს მოცემულ შემთხვევაში თაღლითობის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანს - სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით და ასევე თაღლითობის სუბიექტურ მხარეს - განზრახვას, რომ პირს გათვითცნობიერებული აქვს, რომ იგი თაღლითობით მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება სხვის ქონებას, რითაც ზიანს აყენებს მის მესაკუთრეს და სურს ამ შედეგის დადგომა.

რაც შეეხება თაღლითობის მაკვალიფიცირებელ ნიშანს, დანაშაულის წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ ჩადენას, რაც ბრალად აქვს შერაცხული დ. ა-ეს, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, დანაშაული წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულებრივ ქმედებამდე დროის ხანგრძლივი მონაკვეთის არსებობა. მთავარია, რომ შეთანხმება მოხდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე. ამასთან, აუცილებელია საქმეში არსებობდეს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს ასეთი შეთანხმების არსებობაზე, რაც შესაძლებელია, ჯგუფის წევრებს შორის გამოიხატოს როგორც სიტყვიერ-წერილობით, ისე არავერბალურ კომუნიკაციაშიც - ჟესტებსა და მიმიკებში (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №868ა3-10, №618ა3-15 გადაწყვეტილებები). მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით, არც ერთი მოწმის, მათ შორის არც მსჯავრდებულ ბ. ყ-ის ჩვენებით უტყუარად არ დასტურდება, რომ დ. ა-ემ დანაშაული ბ. ყ-ან ერთად წინასწარი შეთანხმებით ჩაიდინა.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. საქართველოს სისხლის სამართლოს საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანხმად, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ბრალდების მტკიცების ტვირთი ბრალმდებელს ეკისრება. პალატა აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარის მიერ უტყუარად ვერ იქნა დადასტურებული დ. ა-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება, ხოლო სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა ახალი მტკიცებულება, რაც გამოიწვევდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის შეცვლას. საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის გათვალისწინებით, მტკიცებულების შეფასების დროს

წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ყოველი ადამიანი აღჭურვილია საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით. ადამიანის ამ ფუნდამენტური უფლების არსი თავის თავში გულისხმობს სასამართლოს მიერ პირის მსჯავრდებას, ან წარდგენილ ბრალდებაში გამართლებას უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე. დ. ა-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება არ ემყარება ეჭვის გამომრიცხავ, ურთიერთშეთანხმებულ და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას. ეჭვი გაბათილებული ვერ იქნა ვერც სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით. პირის დამნაშავედ ცნობისათვის აუცილებელია არა მხოლოდ მტკიცებულებათა „ფორმალური ერთობლიობა", არამედ ურთიერთშეთანხმებული, სარწმუნო და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით პირის დამნაშავედ ცნობისა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის.

რაც შეეხება ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას ბ. ყ-ის მიმართ შეფარდებული სასჯელის დამძიმების თაობაზე, პალატა ვერ გაიზიარებს, ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოტივაციას და განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი, თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით. ბ. ყ-ს ჯარიმის ოდენობა განესაზღვრა საქართველოს სსკ-ის 42-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. ამასთან, ბრალდების მხარის მიერ სააპელაციო პალატის წინაშე მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არ ყოფილა წარმოდგენილი, რაც სასამართლოს შესაძლებლობას მისცემდა ემსჯელა მისთვის დანიშნული სასჯელის დამძიმებაზე. რაც შეეხება აპელანტის მითითებას, რომ მსჯავრდებულს ზიანი არ აუნაზღაურებია, აღნიშნული არ შეიძლება შეფასდეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად და წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საკითხს. პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტებებზე, რომ ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა და ამ წამახალისებელი ნორმის შეუსაბამო ქმედება პასუხისმგებლობის დამამძიმებლად ვერ მიიჩნევა (იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივნისის N1019აპ-09 და N611აპ-10 განჩინებები). პალატა სრულად იზიარებს საკასაციო პალატის მოცემულ განმარტებას და მიიჩნია, რომ ზიანის აუნაზღაურებლობა არ შეიძლება ჩაითვალოს ბ.ყ-ის შეფარდებული სასჯელის გამკაცრების საფუძვლად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველივე მუხლის მე-3 ნაწილში განსაზღვრულია, რომ ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრევენციულობა (დანაშაულის თავიდან

ასაცილებლად წინასწარი ზომების მიღება) უმნიშვნელოვანესია სანქციის განსაზღვრისას. სასჯელის გამაფრთხილებელი ზემოქმედება მდგომარეობს არა მძიმე სახის სასჯელის დანიშვნის სიმკაცრეში, არამედ მის გარდაუვალობაში. მოცემულ საქმეში, ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლიანად დანიშნა სასჯელი და საქმის სრულყოფილი განხილვის შედეგად უზრუნველყო პასუხისმგებლობის დაკისრების გარდაუვალობაც. ამდენად, სახელმწიფო ბრალდების პოზიცია სასჯელის დამძიმების ნაწილში უსაფუძვლოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ.თბილისის პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორ გ. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ მსჯავრდებულ დ. ა-ის და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის ვ. თ-ის სააპელაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 25 მაისის განაჩენში დ. ა-ის და ბ. ყ-ის მიმართ უნდა შევიდეს ცვლილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 22-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ქ.თბილისის პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორ გ. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ დ. ა-ის და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის ვ. თ-ის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 25 მაისის განაჩენში დ. ა-ის და ბ. ყ-ის მიმართ შევიდეს ცვლილება.

ბ. ყ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

დ. ა-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 აპრილის განჩინების საფუძველზე, თბილისში, -- ქუჩა N---ში მდებარე 458 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი --. დადებული ყადაღა.

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 მაისის განჩინებით, ბრალდებულ დ. ა-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გირაოს სახით განსაზღვრული თანხის, 10 000 (ათი ათასი) ლარის უზრუნველსაყოფად, დ. ა-ის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე -მდებარე: თბილისი, -- ქუჩა N--, საკადასტრო კოდი -- სარდაფი, (ფართი 6,00კვ.მ) და ლ. კ-ის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე - მდებარე: თბილისი, -- ქუჩა N-, საკადასტრო კოდი -- სარდაფი (ფართი 34,41 კვ.მ) - გირაოს თანხის ექვივალენტურ წილზე დადებული ყადაღა.

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 მაისის განჩინებით, ბრალდებულ ბ. (პ.) ყ-ის მიმართ, გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გირაოს სახით განსაზღვრული თანხის, 10 000 (ათი ათასი) ლარის უზრუნველსაყოფად, თ. თ-ის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე -მდებარე: თბილისი, -- ქუჩა N--, ავტოსადგომი N-- (მშენებარე) „გ“ ბლოკი, -3.3-2.7 ნიშნული, ფართ 18,00 კვ.მ საკადასტრო კოდი --- გირაოს თანხის ექვივალენტურ წილზე დადებული ყადაღა.

ნივთიერი მტკიცებულება: 1 ცალი DVD დისკი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით.

გამართლებულ დ. ა-ეს უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

განაჩენი კანონიერ ძალაშია გამოცხადებისთანავე და ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას.

განაჩენი საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში მისი გამოტანიდან 01 (ერთი) თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე: **ლევან თევზაძე**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

№ 1145

„26" თებერვალი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ლ. თევზაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე ლევან თევზაძე დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ 2018 წლის 27 თებერვლიდან, 5 წლის ვადით.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/6 « 11 » იანვარი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ლ. თევზაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4, 4^1 და 4^2 პუნქტების საფუძველზე, ლევან თევზაძე 2018 წლის 18 იანვრიდან გამწესდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/34

"15" მარტი 2013 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ლ. თევზაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ლევან თევზაძე გათავისუფლდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ, 2013 წლის 18 მარტიდან.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/445

"2" დეკემბერი 2009 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლ. თევზაძის ჭუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47^1 მუხლის შესაბამისად, ლევან თევზაძე გათავისუფლდეს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს ჭუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ, 2009 წლის 2 დეკემბრიდან.

კონსტანტინე კუბლაშვილი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი N 1/179

„7" სექტემბერი 2009 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ლ. თევზაძისათვის ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო" ქვეპუნქტისა და 54[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2009 წლის 10 სექტემბრიდან:

1. ლევან თევზაძე გათავისუფლდეს ხელვაჩაურის ლიკვიდირებული რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან.
2. ლევან თევზაძეს, თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, დაეკისროს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება.

კონსტანტინე კუბლაშვილი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/151

"1" აგვისტო 2008 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ლ. თევზაძისთვის ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მოსამართლე ლევან თევზაძეს დაეკისროს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება 2008 წლის 11 აგვისტოდან.

კონსტანტინე ვაშალომიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/68

„29" აპრილი 2008 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ლ. თევზაძის ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნოს ლევან თევზაძე ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ.

კონსტანტინე კუბლაშვილი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

სტატისტიკური ინფორმაცია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის **ლევან თევზაძის** საქმიანობის შესახებ

(2017 წლის 1 ნოემბერი - 2020 წლის 1 ნოემბერი)

I განხილულ საქმეთა რაოდენობა

საანგარიშო პერიოდში[1] **ლევან თევზაძეს** დაეწერა 114 სააპელაციო საჩივარი სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული 114 საქმიდან მოსამართლემ დაასრულა 100 საქმე. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ნაშთად დარჩენილი საქმეების რაოდენობამ შეადგინა - 14. მოსამართლეს ასევე დაეწერა 8 საჩივარი სხვა ტიპის სისხლის სამართლის საქმეებზე, საიდანაც განიხილა 7 და ნაშთად დარჩა 1 საქმე.

საერთო ჯამში, მოსამართლე **ლევან თევზაძის** საქმიანობა მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნდა შეფასდეს დადებითად. თუ მოხდება მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დღეების მისადაგება მის მიერ დასრულებულ ყველა კატეგორიის საქმეზე, მოსამართლეს 984 დღეში დასრულებული აქვს 107 საქმე. ეს არ მიუთითებს მოსამართლის მაღალ დატვირთვაზე, მაგრამ მან განიხილა იმდენი საქმე, რამდენიც დაეწერა.

II საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა - ვადის დაცვით 100%

საანგარიშო პერიოდში მოსამართლე **ლევან თევზაძემ** დაასრულა 114 სასარჩელო წარმოების საქმე, და ყველა საქმე განიხილა ვადაში.

III გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა - ვადის დაცვით 100%: დარღვევით - 0%

საანგარიშო პერიოდში მოსამართლე **ლევან თევზაძემ** დაასრულა 100 სასარჩელო წარმოების საქმე და გადაწყვეტილების მომზადების ვადა არ დაურღვევია არც ერთ საქმეზე.

---

[1] შესაფასებელი საანგარიშო პერიოდი მოიცავს 1095 დღეს, საიდანაც მოსამართლე სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა 984 დღის განმავლობაში (65 დღე შვებულება, ხოლო 46 კ/დ მივლინებები), შესაბამისად, წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია ასახავს მოსამართლის საქმიანობას 984 დღის განმავლობაში.

IV გადაწყვეტილებათა სტაბილურობა - უცვლელი 93,8%, შეცვლილი 6,2%

საანგარიშო პერიოდში ზემდგომ ინსტანციაში განხილულ იქნა მოსამართლე **ლევან თევზაძის** 48 საქმე, საიდანაც 44 - ცნობილ იქნა დაუშვებლად, 3 შეიცვალა, ხოლო 1 დატოვებულია უცვლელად.

სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე

ირაკლი გოცირიძე

[1] [1] **შენიშვნა:** გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებლები შესაძლოა არ დაემთხვეს უშუალოდ შესაფასებელი მოსამართლის „ამოსარჩევ საქმეთა ნუსხაში" მითითებულ მონაცემებს შემდეგ მიზეზთა გამო:

1. შეცვლილი ან გაუქმებული გადაწყვეტილება საანგარიშო პერიოდის მიღმაა;
2. ზედა ინსტანციის ინფორმაცია ქვედა ინსტანციის სასამართლოს კანცელარიას არ აქვს მიღებული;
3. სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელად დატოვებული ან შეცვლილი გადაწყვეტილება გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

სერტიფიკატი

ეს სერტიფიკატი ადასტურებს, რომ

ლევან თევზაძემ

წარმატებით ჩააბარა მოსამართლეობის
საკვალიფიკაციო გამოცდა
სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
ვალერი ცერცვაძე

რეგისტრაციის № 03-13
გამოცდის ჩაბარების თარიღი 15.09.2007
გამოცდის ჩაბარების ადგილი თბილისი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 14

ქ. თბილისი „14" „ივნისი" 2016 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის 18-ე, მე-19 და 23-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ლევან თევზაძეს 2016 წლის 16 ივნისიდან შეუწყდეს ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის (თავმჯდომარის) უფლებამოსილება, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის სამწლიანი ვადის გასვლის გამო.

ლევან თევზაძე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 3

ქ. თბილისი 9 ივლისი, 2016 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 64-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად არჩეულ იქნეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ლევან თევზაძე.

2. დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 9 ივლისიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ა № 9

ქ. თბილისი

„05" „მარტი" 2018 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი ამავე რეგლამენტის მე-19 და 23-ე მუხლების შესაბამისად,

ა დ გ ე ნ ს:

1. ლევან თევზაძეს შეუწყდეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის (თავმჯდომარის) უფლებამოსილება.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 05 მარტიდან.

ირაკლი კოპალიანი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის
საგანგებოდ უფლებამოსილი წევრი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 6

ქ. თბილისი

24 მარტი, 2018 წ.

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის თაობაზე" საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2015 წლის 11 ივლისის №1 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის შესაბამისად

ა დ გ ე ნ ს:

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის - ლევან თევზაძის მიერ წარმოდგენილი განცხადება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე (დანართი: 1 ფურცელი).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2015 წლის 11 ივლისის №1 დადგენილება ლევან თევზაძის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევის თაობაზე.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 24 მარტიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დადგენილება № 1

ქ. თბილისი — [illegible] 2015 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის

არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე, 65-ე მუხლებისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ადგენს:

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ლევან თევზაძე.

2. დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 30 ივლისიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დადგენილება №/6

ქ. თბილისი

16 ივნისი 2013 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64-ე და 65-ე მუხლებისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ადგენს:

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე - ლევან თევზაძე.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF LAW

№ 1905/31-02

„22" 05 2019 წ.

ცნობა

ლევან თევზაძე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის 29.09.2014 წლის №1601/01-04 ბრძანებით.

2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში რეგისტრირებული იყო იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 სემესტრის სტუდენტად.

17.04.2019 წლის №381/01-04 ბრძანების საფუძველზე შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო (მე-5 სემესტრიდან).

დეკანი — თამარ ზარანდია

სასწავლო პროცესის მართვის ჯგუფის

უფროსი სპეციალისტი — შორენა ჩარგაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან თევზაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	20	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	16	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	96	100

სახელი, გვარი: დიმიტრი გვრიტიშვილი

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
დიმიტრი გვრიტიშვილი

2021 წლის 28 მაისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ლევან თევზაძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - ლევან თევზაძეც. საბჭოს 2021 წლის 5 აპრილის №1/26 განკარგულებით, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართელოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2021 წლის 1 აპრილის ორგანული კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, დადგინდა, რომ ამ პროცედურის ფარგლებში 2021 წლის 6-12 აპრილის პერიოდში მიღებული იქნებოდა დამატებითი განცხადებები. შედეგად, საბჭოს 2021 წლის 15 აპრილის განკარგულებით, ამ პროცედურაში დარეგისტრირდა 2 ახალი კანდიდატი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. კანდიდატების საჯარო მოსმენა დაიწყო 2020 წლის 10 დეკემბერს; უშუალოდ ლევან თევზაძის საჯარო მოსმენა გაიმართა 2020 წლის 18 დეკემბერს, სადაც მივიღე მონაწილეობა და, საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, ვისარგებლე კანდიდატისათვის შეკითხვების დასმის უფლებით.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით; იმისდა

მიხედვით, კანდიდატს გააჩნია თუ არა სამოსამართლო გამოცდილება, შეფასების წესი განსხვავებულია.

ვინაიდან ლევან თევზაძე მოქმედი მოსამართლეა, მისი შეფასება განვახორციელე ორგანული 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით სამოსამართლო გამოცილების მქონე კანდიდატის შეფასებისათვის განსაზღვრული წესით, კერძოდ:

1.5.1. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36[3] მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ცალსახაა კანონმდებლის ნება, რომ შეფასება დაეფუძნოს მონაცემთა ანალიზსა და შეჯერებას; ამდენად, დასკვნა ,,სრულად აკმაყოფილებს" უნდა გაკეთდეს მხოლოდ მაშინ, თუ კანდიდატი მახასიათებლისათვის კანონით განსაზღვრული ყველა კომპონენტის მიხედვით დადებითად ფასდება; თუ კომპონენტებიდან რომელიმეს მიმართ შეფასება უარყოფითია, უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ ორი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდება უარყოფითი, უნდა ჩაითვალოს, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.5.2. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. ***საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია***:

2.1.1. ლევან თევზაძე 41 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის დოქტორი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 19 წელზე მეტია, მათ შორის - მოსამართლედ 13 წელზე მეტი, კერძოდ:

2008 წლის 29 აპრილს დაინიშნა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ, ხოლო 2008 წლის 11 აგვისტოდან - ამავე სასამართლოს თავმჯდომარედ. 2009 წლის 2 დეკემბრიდან დაინიშნა ქუთაისი საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ და ამავე სასამართლოს თავმჯდომარედ. 2013 წლის 18 მარტიდან დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ. 2018 წლის 18 იანვრიდან განწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის - სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ. 2018 წლის 27 თებერვლიდან დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ 5 წლის ვადით.

2.1.2. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის - პროფესიონალიზმს, გულისხმიერებას, წესიერებას, კეთილსინდისიერებას, მიუკერძოებლობას, პრინციპულობას, კარგ მენეჯერულ თვისებებს, პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას, საქმისადმი ერთგულებას, ერუდიციას, სამართლიანობას, შრომისმოყვარეობას, თავაზიანობას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამის ქცევას და იმიჯს, მაღალ საქმიან და მორალურ რეპუტაციას, ანალიტიკურ აზროვნებას და სხვა. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს.

ხელმოწერა:

გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; ერთი რესპოდენტი მიიჩნევს რომ ლ. თევზაძის პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

2.1.3. ლევან თევზაძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ სასწავლო-პროფესიულ ღონისძიებებში:

- მოსამართლის პროფესიული უნარები - სემინარი.
- ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება - ტრენინგი.
- ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგია - სემინარი.
- დისტანციური სწავლების საშუალებების გამოყენება - სემინარი.
- მტკიცებულებათა ცნება, შეფასება, დაშვება, გამოკვლევა, გამოქვეყნება და დემონსტრირება - სამართლებრივი ენა სისხლის სამართლის მიმართულების თანამშრომლობაში, (რუმინეთი, ბუქარესტი).
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემა - სასწავლო კურსი (აშშ. ატლანტა).
- ბრემენის უმაღლესი რეგიონალური სასამართლო - სასწავლო კურსი (გერმანია, ბრემენი).
- სასამართლო მენეჯმენტი და ადმინისტრირება - სასწავლო კურსი (გერმანია, დორტმუნდი).
- ფსიქიატრიულ ჯანდაცვა - სემინარი.
- სასამართლო დარბაზში კომუნიკაცია და მიკერძოება - სემინარი.

2.1.4. ლევან თევზაძე ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:

- იყო თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მიწვეული ლექტორი „სამოსამართლეო სამართლის“ დისციპლინაში.
- კითხულობს სემინარებს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. არის მასწავლებელთა საბჭოს წევრი.

ლევან თევზაძე ასევე არის ევროპის საბჭოს ადგილობრივი ექსპერტი სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთების საკითხებზე.

2.1.5. ლევან თევზაძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება: საცხოვრებელი ბინა, ქ. თბილისში (81 კვ.მ. - 100%), მიწის ნაკვეთი (725 კვ.მ. - 100%) სამტრედიაში. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

2.1.6. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ლევან თევზაძე რამდენჯერმე დაჯარიმდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად.

მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.

კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი მხარედ/დაზარალებულად რაიმე საქმეში.

კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.

2.1.7. ლევან თევზაძემ წარმოადგინა მის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი და 3 პუბლიკაცია: 1) „დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2018 წ. (გვ.7-20); 2) „თავისუფლების აღკვეთის შეფარდების თავისებურებანი საქართველოს სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით“; საიუბილეო კრებული; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017წ. (გვ.

60-79); 3) სახელმძღვანელო წინადადებები „სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე“, თანაავტორი.

მათი შესწავლით დავადგინე, რომ ლევან თევზაძე ზოგჯერ სათანადოდ არ იყენებს სასვენ ნიშნებს, ასევე - ხშირადაა გამოყენებული რთული თანწყობილი/ქვეწყობილი წინადადებები, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას გარკვეულწილად აფერხებს.

2.1.8. კანდიდატის, როგორც მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შესახებ: 2017 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, ლევან თევზაძემ საქმეთა 100% განიხილა საპროცესო ვადების დაცვით; გადაწყვეტილებები ვადის დაცვით მოამზადა საქმეთა 100%-ზე; მისი გადაწყვეტილებები დარჩა უცვლელი საქმეთა 93.8%-ში. საანგარიშო პერიოდში (984 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 107 საქმე (ანუ, განიხილა ყველა საქმე, რაც განაწილდა მასზე).

2.2. ***კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:***

2.2.1. ლევან თევზაძის საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია (იხ: https://www.youtube.com/watch?v=PXceg0QwdgY). მას საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. დასმულ ყველა შეკითხვასთან (როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი ხასიათის) დაკავშირებით, კანდიდატის პასუხები იყო თანმიმდევრული, არგუმენტირებული და ეფუძნებოდა სწორ სამართლებრივ შეფასებებს. რაიმე თვალსაჩინო ხარვეზი/შეცდომა არ დამიფიქსირებია.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. ლევან თევზაძის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

3.1.1. კანდიდატი, როგორც მოსამართლე და მოქალაქე, არის პატიოსანი, კეთილსინდისიერი, აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, არის სიმართლისმოყვარე; არის კორექტული და ზუსტი სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და ა.შ.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლევან თევზაძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

3.1.2. კანდიდატი არის პრინციპული, სამართლიანი, მიუკერძოებელი, პიროვნულად მყარი და შეუვალი, რის გამოც გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების და ზეგავლენის მიმართ მედეგობის უნარები.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლევან თევზაძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

3.1.3. კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკას, კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი

ქცევა და იმიჯი, არის თავდაჭერილი; აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ამიტომ, დავრწმუნდი, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლევან თევზაძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

3.1.4. კანდიდატს აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ავტორიტეტი, მისი ურთიერთობის ხასიათი იურიდიულ წრეებთან სრულ შესაბამისობაშია მოსამართლის სტატუსთან; ამ დასკვნის გამაქარწყლებელი ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლევან თევზაძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

3.1.5. კანდიდატის შემოსავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლევან თევზაძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ,,ფინანსური ვალდებულების" მახასიათებელს.

3.2. ვინაიდან კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5-ვე მახასიათებლის მიმართ შევაფასე სრულად დადებითად, საბოლოოდ დავასკვენი, რომ ლევან თევზაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. ლევან თევზაძის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. კანდიდატი ძალიან კარგად იცნობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობებს, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

შესაბამისად, ლევან თევზაძე, ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ,,სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, შევაფასე ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 20 ქულით.

4.1.2. კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების კარგად დასაბუთების უნარი, რაც ამ მოსაზრებას დამაჯერებლობასაც ანიჭებს. მას ასევე გააჩნია მოსამართლედ მუშაობის დიდი გამოცდილება.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლევან თევზაძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 20 ქულით.

ხელმოწერა:

4.1.3. ზემოთ, 2.1.7 პუნქტში აღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატს, ძირითადად, გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

შესაბამისად, ლევან თევზაძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული ,,წერის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 16 ქულით (ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 80%).

4.1.4. კანდიდატს გააჩნია გამართული მეტყველების, სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებული აზრის) მოთმინებით მოსმენის და ღიაობის სათანადო უნარები.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლევან თევზაძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული ,,ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 15 ქულით.

4.1.5. კანდიდატი პუნქტუალურია, საქმეებს ამზადებს ჯეროვნად და პასუხისმგებლობით, სასამართლო სხდომას წარმართავს სათანადოდ, მხარეებთან მისი კომუნიკაცია შეესაბამება მოსამართლის მაღალ სტატუსს; გულმოდგინე და შრომისმოყვარეა, გადაწყვეტილებას იღებს დაუხმარებლად და აქვს დამოუკიდებელი აზროვნების კარგი უნარი; აქვს კარგი მენეჯერული უნარები: სტრესულ სიტუაციებს უმკლავდება სათანადოდ, მიზანდასახულია, პროდუქტიულია და მოქმედებს სწრაფად, რაც მას ეხმარება საპროცესო ვადების ზედმიწევნით დაცვაში.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლევან თევზაძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - ,,პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში" - მიხედვით უნდა შეფასდეს ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 15 ქულით.

4.1.6. კანდიდატი სიახლეების მიმართ ღიაა, აქვს თვითგანვითარების უნარი, შესაბამისი საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, რისთვისაც ხშირად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, ხოლო შეძენილ ცოდნას და უნარებს წარმატებით იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლევან თევზაძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული ,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 5 ქულით.

4.1.7. კანდიდატი ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას და აქვს იდეების/წინადადებების წამოყენების უნარი.

ასევე აღსანიშნავია, რომ ლევან თევზაძე ახორციელებს პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობასაც.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლევან თევზაძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული ,,პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს უმაღლესი - 5 ქულით.

4.1.8. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, ლევან თევზაძეს ვანიჭებ 96 ქულას.

ხელმოწერა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან თევზაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	95	100

სახელი, გვარი: თეა ლეონიძე თ. [signature]

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ლევან თევზაძის

შეფასების დასაბუთება

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1, 36^3, 36^4 მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე განვახორციელე კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების ხუთი მახასიათებლის და კომპეტენტურობის შვიდი მახასიათებლის გათვალისწინებით. ჩემი შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებულ ინფორმაციას, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

ზოგადი ინფორმაცია კანდიდატზე: ლევან თევზაძე - დაბადებული 1979 წლის 28 მაისს, უმაღლესი იურიდიული განათლებით, მაგისტრთან გათანაბრებული (თსუ) , თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე, პალატის თავმჯდომარე, აქვს სპეციალობით მუშაობის გამოცდილება 19 წელი, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება 12 წელი და 6 თვე.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ამ მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები. ამ მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად ვიღებ ერთ-ერთ დასკვნას:

ა) მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

ბ) მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

გ) მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

1. **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება პირის - როგორც მოსამართლისა და მოქალაქის - პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ კანდიდატ ლევან თევზაძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული რამოდენიმე საგზაო მოძრაობის წესის დარღვევისათვის, ყველა ჯარიმა გადახდილია დროულად, ლევან თევზაძის მიმართ არ დაწყებულა დისციპლინური დევნა, საანგარიშო პერიოდში საქმეების განხილვის და გადაწყვეტილებათა მომზადების ვადები დაცულია სრულად, რაც მიუთითებს კანდიდატის დამოკიდებულებაზე მოვალეობების მიმართ. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის პროფესიონალიზმს, გულისხმიერებას, წესიერებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოპოვებული მონაცემებით დგინდება, რომ კანდიდატი ლევან თევზაძე არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან შემომწირველი, მის მიერ განხილულ იქნა საქმეები, რომელიც მოექცა მედიის ყურადღების ქვეშ, კანდიდატმა შეძლო გამოეჩინა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, რაიმე ობიექტური გარემოება, რაც აღნიშნულ მახასიათებელს ეჭვქვეშ დააყენებდა არ გამოვლენილა. რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის მიუკერძოებლობის, პრინციპულობის, სამართლიანობის შესახებ. კანდიდატის დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა ასევე შეიმჩნეოდა მის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქმიანობის პერიოდშიც.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

მონაცემების მიხედვით, კანდიდატი - ლევან თევზაძე არ ყოფილა მხარედ ან დაზარალებულად წარმოდგენილი. მისი გარეგნული იერსახე სრულად შეესაბამება მოსამართლის მაღალ თანამდებობას. კანდიდატ ლევან თევზაძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

4. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:**

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

კანდიდატი ლევან თევზაძე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, რეკომენდატორები გამოარჩევენ მისი, როგორც მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამის ქცევას და იმიჯს, მაღალ საქმიან და მორალურ რეპუტაციას, ანალიტიკურ აზროვნებას. კანდიდატი ლევან თევზაძე იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, რაც მიუთითებს მის მაღალ რეპუტაციაზე კოლეგებთან.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

5. **ფინანსური ვალდებულება:**

ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატ ლევან თევზაძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და არ აქვს მიმდინარე სესხი, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, კანდიდატს საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი ბინა ქ. თბილისში და მიწის ნაკვეთი. კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით მივიჩნიე, რომ მოსამართლეობის კანდიდატი ლევან თევზაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის

კრიტერიუმის მიხედვით:

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმით, მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლის მნიშვნელობიდან გამომდინარე თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა - 20 ქულა;

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 20 ქულა;

გ) წერის უნარი - 20 ქულა;

დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;

ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;

ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;

ზ) პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

1. **სამართლის ნორმების ცოდნა:**

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. ამ მახასიათებლით მოსამართლის შეფასების მიზნით შემფასებელი ითვალისწინებს მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორეს. აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლის შესაფასებლად შემფასებელი აგრეთვე გამოითხოვს მოსამართლის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი ლევან თევზაძე სრულყოფილად ფლობს საქართველოს სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატის მიერ წარმოდგენილ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის განაჩენი საქმეზე 1/ბ-849-18. განაჩენის გაცნობის შედეგად გამოირკვა, რომ განაჩენი სტილისტიურად აგებულია სწორად, გასაგებად. აპელანტის მოთხოვნები და არგუმენტაცია გადმოცემულია სრულყოფილად. მოსამართლის მიერ სამოტივაციო ნაწილი დასაბუთებულია დეტალურად, შეფასებულია ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულება. განაჩენში მოსამართლე უთითებს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებას, რაც ცხადყოფს, რომ კანდიდატი ეცნობა ზემდგომი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებებს. კანდიდატი ლევან თევზაძე მტკიცებულებათა სანდოობის, საიმედოობის და სიზუსტის შემოწმებისას ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით.

სამართლის ნორმების ცოდნის შეფასებისას ასევე განსაკუთრებით გამოვყოფდი მის პრაქტიკულ გამოცდილებას; კერძოდ იგი მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა ჯერ რაიონის, შემდეგ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოში. რაიონულ სასამართლოში უფლებამოსილების განხორციელებისას იხილავდა სხვადასხვა კატეგორიის საქმეებს, რაც კიდევ უფრო ამაღლებს მის ცოდნას. კანდიდატ ლევან თევზაძის მიერ სამართლის ნორმების ცოდნის შესაფასებლად ასევე ვიხელმძღვანელე სტატისტიკური მონაცემებით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილებების სტაბილურობის თაობაზე, რაც შეადგენს - 93.8%;

კანდიდატის მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა პუბლიკაცია თემაზე ,,თავისუფლების აღკვეთის თავისებურებანი საქართველოს სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით". პუბლიკაციაში

დეტალურადაა მიმოხილული ის პრობლემები, რაც სასამართლო სისტემაში სასჯელის შეფარდების კუთხით დგას.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ლევან თევზაძის სამართლის ნორმების ცოდნას ვაფასებ 18 ქულით.

2. **სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:**

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატს გააჩნია საკმაოდ მრავალფეროვანი პროფესიული გამოცდილება, მისი გადაწყვეტილებები გამოირჩევა დასაბუთების მაღალი ხარისხით. კანდიდატ ლევან თევზაძის მიერ წარმოდგენილ იქნა პუბლიკაცია თემაზე ,,დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი". საგულისხმოა, რომ კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, ძირითად საკითხებზე კონცენტრირება და მისი ანალიზი. პუბლიკაციაში დეტალურადაა აღწერილი გადაწყვეტილების დასაბუთების მნიშვნელობა. მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში განსაკუთრებით გამოვარჩევდი უნარს დაასაბუთოს გადაწყვეტილება, ისე, რომ აღნიშნული გასაგები იყოს მხარისათვის. კანდიდატის გადაწყვეტილებებში ევროსასამართლოს და უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მოხსენებულია საჭიროებისამებრ და არ არის გადატვირთული. მის მიერ გაკეთებული განმარტებები, შესაბამისობაშია უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან. მიმაჩნია, რომ კანდიდატმა გასაუბრების დროს გასცა დასაბუთებული პასუხები.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ლევან თევზაძის სამართლებრივი დასაბუთების უნარს და კომპეტენციას ვაფასებ 18 ქულით.

3. **წერის უნარი:**

წერის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შემდეგ, ვასკვნი, რომ აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, სასვენი ნიშნები გამოყენებულია სწორად. გადაწყვეტილება სტრუქტურულად აგებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ლევან თევზაძის წერის უნარს ვაფასებ 20 ქულით.

4. **ზეპირი კომუნიკაციის უნარი:**

ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას მხედველობაში მივიღე კანდიდატის გასაუბრება, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი, ინარჩუნებდა სიმშვიდეს, აზრს გადმოსცემდა გასაგებად. კანდიდატს შესწევს უნარი დაიცვას საკუთარი პოზიცია კონსტრუქციული მსჯელობის ფარგლებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ლევან თევზაძის ზეპირი კომუნიკაციის უნარს ვაფასებ 15 ქულით.

5. **პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში:**

პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

კანდიდატი საქმის განხილვის საპროცესო ვადების იცავს ზედმიწევნით, რაც ადასტურებს მის პროდუქტიულობას და სისწრაფეს, ლევან თევზაძე ასევე ასრულებდა სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას, არის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე, რაც მეტყველებს მის კარგ მენეჯერულ უნარებზე. კანდიდატის მიერ საპროცესო ვადები სრულად დაცულია.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ლევან თევზაძის პროფესიულ თვისებებს, მათ შორის, ქცევას სასამართლო დარბაზში ვაფასებ 15 ქულით.

6. **აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:**

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

კანდიდატი ლევან თევზაძე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, თემა: წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კვალიფიკაციის პრობლემები საქართველოს სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრეინიგში, მათ შორის: მტკიცებულებათა ცნება, შეფასება, დაშვება, გამოკვლევა, გამოქვეყნება და დემონსტრირება; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემა(აშშ, ატლანტა); ფსიქიატრიული ჯანდაცვა; სასამართლო დარბაზში კომუნიკაცია და მიკერძოება; მოსამართლის პროფესიული უნარები; ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგია; დისტანციური სწავლების საშუალებების გამოყენება და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი პრაქტიკულ საქმიანობას უთავსებს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენას, რაც ხელს უწყობს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ლევან თევზაძის აკადემიურ მიღწევებს და პროფესიულ წვრთნას ვაფასებ 4 ქულით.

7. **პროფესიული აქტივობა:**

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

კანდიდატი ლევან თევზაძე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში ,,სამოსამართლეო სამართლის" დისციპლინაში, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში უძღვება სემინარებს, არის მასწავლებელთა საბჭოს წევრი, არის ევროპის საბჭოს ადგილობრივი ექსპერტი სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების საკითხებზე.

არის ავტორი პუბლიკაციებისა - ,,დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი"; ,,თავისუფლების აღკვეთის შეფარდების თავისებურებანი საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით".

სახელმძღვანელოს თანაავტორი ,,სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტური გამართულობის თაობაზე.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი პროფესიულად არის საკმაოდ აქტიური.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ლევან თევზაძის პროფესიულ აქტივობას ვაფასებ 5 ქულით.

კანდიდატის საბოლოო შეფასება:

კანდიდატ ლევან თევზაძეს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ **95** ქულას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს წევრი თეა ლეონიძე

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან თევზაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	94	100

სახელი, გვარი: თამარ ონიანი

თარიღი: 27.05.2021

ლევან თევზაძე

შეფასება/ დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმით**</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის დადგენილი მახასიათებლები: **1. <u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისი შეგნება. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, ლევან თევზაძე არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისიწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის მასზე დაკისრებულია მცირე ოდენობის
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		ჯარიმები, დაკისრებული ჯარიმები კი კანდიდატს გადახდილი აქვს დროულად. ლევან თევზაძეს რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. მიუთითებენ მის კეთლსინდისიერებაზე, შრომისმოყვარეობაზე, საქმისადმი ერთგულებაზე, თავაზიანობასა და პრინციპულობაზე. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ კანდიდატის პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო თავშეკავებული, კორექტული. მისი ქცევა შეეფერებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს. **2. <u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა. რეკომენდატორები და კოლეგები ლევან თევზაძეს აფასებენ, როგორც პრინციპულს, მიუკერძოებელს და სამართლიანს. კანდიდატი არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ჯგუფის მხარდაჭერი/წევრი/შემომწირველი. მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს

		არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. **3. <u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, დავდაჭერილობა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ლევან თევზაძის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. დაზარალებულად, სამართლებრივ დავაში მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ იგი არის საქმისადმი ერთგული და გამოარჩევენ მის მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამის ქცევასა და იმიჯს. საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. **4. <u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კანდიდატს ახასიათებენ დადებითად, გამოარჩევენ კანდიდატის

		პასუხისმგებლობის გრძნობასა და კანონმდებლობის საფუძვლიან ცოდნას და აღნიშნავენ, რომ მას აქვს კარგი მენეჯერული თვისებები. კანდიდატი სხვადასხვა დროს ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, კითხულობს ლექციებს; მას გამოქვეყნებული აქვს სტატიები, მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა პროფესიულ შეხვედრაში, რაც მის პიროვნულ რეპუტაციას დადებითად წარმოაჩენს. ლევან თევზაძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. კერძოდ, ლევან თევზაძის მიერ განხილული საქმეებიდან მედია საშუალებები ოთხმეზურის საქმით დაინტერესდნენ. თევზაძის შესახებ საინფორმაციო არხებით სხვადასხვა სახის ინფორმაცია მოიპოვება, მისი განცხადებები, არჩევა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, დანიშვნა სააპელაციო სასამართლოში, ინფორმაცია ნათესაურ კავშირზე. ხელმისაწვდომია ცნობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის თაობაზე. **5. <u>ფინანსური ვალდებულებები</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ, რათა შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი კანდიდატის ქონებრივი ინტერესის მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით, ლევან თევზაძე

			ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. იმავე ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. შესაბამისად, ვფიქრობ, არ არსებობს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება, საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**19**	**20**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორე. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით, კანდიდატი სრულყოფილად ფლობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. გასაუბრების მიმდინარეობისას გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის თუ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ცოდნის მაღალი დონე. კანდიდატმა კარგად იცის

			როგორც ნაციონალური სასამართლოს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები. სისხლის სამართლის სფეროს მიკუთვნებული თითოეული საკითხი კანდიდატმა განიხილა კვალიფიციურად და სიღრმისეულად. გასაუბრებისას კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, მოჰყავდა კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან. ჩანს, რომ ლევან თევზაძე აქტიურად ეცნობა როგორც ქვეყნის შიდა სასამართლო პრაქტიკას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ლევან თევზაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართალი).
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით კანდიდატი მკაფიოდ და თანმიმდევრულად ავითარებს სამართლებრივ მსჯელობას სხვადასხვა საკითხზე. წარმოდგენილი დოკუმენტები არის დასაბუთებული. კარგად ჩანს, რომ მას საკითხი ესმის სიღრმისეულად, და შეუძლია თავისუფლად, დამაჯერებლად მსჯელობა. ასევე დასაბუთების დროს იშველიებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტებს. გასაუბრების პროცესის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს კვალიფიციურად შეუძლია გამოკვეთოს შესაბამისი სამართლებრივი პრობლემა და არგუმენტირებული

			მსჯელობა განავითაროს ამ მიმართულებით. მიმაჩნია, რომ მას აქვს ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი.
წერის უნარი	19	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა. მისი მსჯელობა არის რაციონალური, ლოგიკური და თანმიმდევრული. მისი სამართლებრივი დოოკუმენტებიდან კარგად იკითხება ავტორის აზრი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა. გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი ფლობს ზეპირი კომუნიკაციის უნარებს. მეტყველებს გამართულად და აზრს აყალიბებს თანმიმდევრულად. მას აქვს განსხვავებული აზრის მოსმენისა და მისი მიმღეობის უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი პუნქტუალობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა. რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, პუნქტუალური და ა.შ.

			საქმის განხილვის საპროცესო ვადებს კანდიდატი იცავს სრულყოფილად (100%), მის მიერ განხილულ საქმეებზე გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელი არის სრულად დაცული (100%). გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა წარმოადგენს 93.8 %-ს. კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია, რაც მისი მხრიდან სამოსამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად შესრულებასა და მხარეთა მხრიდან მის მიმართ დამოკიდებულების დადებითად შეფასების საფუძველს იძლევა.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ლევან თევზაძე პერიოდულად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი და მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია.
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის

			პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე. ლევან თევზაძე ეწევა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგირ საქმიანობას. იყო თბილისის ღია სასწავლო უნივერისტეტის მოწვეული ლექტორი. არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა საბჭოს წევრი და არის ევროპის საბჭოს ადგილობრივი ექსპერტი სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთების საკითხებზე.
ქულათა ჯამი	**94**	**100**	

სახელი, გვარი: თამარ ონიანი

თარიღი : 27.05.2021

ხელმოწერა: თ. ონიანი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან თევზაძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**17**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**20**	**20**
წერის უნარი	**20**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**5**	**5**
პროფესიული აქტივობები	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**96**	**100**

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 28/05-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ლევან თევზაძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ლევან თევზაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	ლევან თევზაძე გამოირჩევა პრინციპულობით, თავდაჭერილობით, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. ამასთან, კანდიდატს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების	☒	

კრიტერიუმს			ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების შეფასებით ლევან თევზაძე არის კორექტული და იგი სარგებლობს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით. ამასთან, მის მიმართ დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20	ლევან თევზაძე სისხლის სამართლის მიმართულებით სიღრმისეულად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. აგრეთვე, მასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი სწორად ახდენს სამართლებრივი ნორმების გაანალიზებას, მათი მიზნისა და შინაარსის დადგენას. ამასთან, კანდიდატი სრულყოფილად იცნობს ადამიანის უფლებების სამართალს. მნიშვნელოვანია, რომ იგი სისტემატიურად ეცნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია).
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება. ამასთან, იგი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებითა და მისი მოსაზრების დამაჯერებლად გადმოცემის უნარით.

წერის უნარი	20	20	ლევან თევზაძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[1] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ მას გააჩნია სათანადო წერის უნარი. კერძოდ, კანდიდატი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. ამასთან მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის თანმიმდევრული, ნათელი და არაორაზროვანი, რის საფუძველზეც მკითხველს ეძლევა შესაძლებლობა ერთგვარად მიჰყვეს იმ დასაბუთების განვითარების ბმას, რამაც განაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მიღება. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის მიერ მომზადებული სამართლებრივი დოკუმენტები შესრულებულია ნათელი და გასაგები ენით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	ლევან თევზაძეს აქვს კარგი მეტყველების უნარი. ამასთან, იგი არის მშვიდი, გაწონასწორებული და ღიად, ნათლად აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს. ამასთან, კანდიდატი საკუთარ პოზიციას გადმოსცემს თანმიმდევრულად, გამართულად და შეუძლია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენა.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	ლევან თევზაძე გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით, გულმოდგინებით, პროდუქტიულობით და გააჩნია საქმის სათანადოდ მომზადების, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2017 წლის 1

[1] სასამართლო გადაწყვეტილება: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 18 აპრილის განაჩენი, საქმე N1/ბ-849-18, სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაციები: „დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2018 წ. (გვ.7-20), „თავისუფლების აღკვეთის შეფარდების თავისებურებანი საქართველოს სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით“, საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017წ. (გვ. 60-79), სახელმძღვანელო წინადადებები „სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე“.

			ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საკმაოდ მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა (100%) და უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებლები (93.8%).
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი. აღსანიშნავია, რომ ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას ადგილობრივ თუ საერთაშორისო ტრენინგში, სემინარსა და სასწავლო კურსში.
პროფესიული აქტივობა	5	5	ლევან თევზაძე გამოირჩევა პროფესიული აქტივობის კუთხით და მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, იგი „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში“ მიწვეული ლექტორის სტატუსით ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში კითხულობდა სემინარებს. აგრეთვე, კანდიდატი წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა საბჭოს წევრს. მნიშვნელოვანია, რომ ლევან თევზაძე სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთების საკითხებზე არის ევროპის საბჭოს ადგილობრივი ექსპერტი. აღსანიშნავია რომ, მას მომზადებული აქვს სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები.
ქულათა ჯამი	96	100	

დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ლევან თევზაძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ლევან თევზაძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, კანდიდატის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ლევან თევზაძის შეფასებისას გათვალიწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u>* მახასიათებლის თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ ლევან თევზაძეს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები, რომლებსაც კანდიდატთან აქვთ სამსახურებრივი თუ პირადი ხასიათის ურთიერთობა, აფასებენ როგორც კეთილსინდისიერ პიროვნებას. ამასთან, რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი გამოირჩევა წესიერებით, კორექტულობით, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობითა და საქმისადმი ერთგულებით. მნიშვნელოვანია, რომ ლევან თევზაძეს სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული

	პასუხისმგებლობა და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ეს ყველაფერი კი ცხადყოფს, რომ კანდიდატს სწორად აქვს შეგნებული და გაანალიზებული მისი პირადი და პროფესიული მოვალეობები. რაც შეეხება *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს,</u>* კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილი თვისებების გათვალისწინებით შემექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი არის პრინციპული, პიროვნულად მყარი, შეუვალი, ზეგავლენის მიმართ მედეგი და გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისი ხანგრძლივი მოსამართლედ მუშაობის განმავლობაში არ გამოკვეთილა გარემოება, რომელიც შესაძლოა გამხდარიყო მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი. მნიშვნელოვანია, რომ რეკომენდატორები და გამოკითხული პირებიც კანდიდატის შეფასებისას, აცხადებენ, რომ იგი ხასიათდება დამოუკიდებლობითა და მიუკერძოებლობით. რაც შეეხება, მის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, ამასთან დაკავშირებით უნდა აღნიშნოს, რომ ლევან თევზაძე არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები. *<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ლევან თევზაძე იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. საჯარო მოსმენაზე კანდიდატმა სხვადასხვა პრობლემურ და აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე საუბრისას გამოავლინა, რომ იგი არის მშვიდი, გაწონასწორებული, თავდაჭერილი, თანმიმდევრული და გააჩნია საკუთარი ემოციების მართვის უნარი. აღსანიშნავია, რომ რეკომენდატორები მას ახასიათებენ როგორც თავაზიან პიროვნებას. ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა და იგი სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. *<u>პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებელს</u>* რაც შეეხება, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

	საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ლევან თევზაძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის, მის მიერ გაკეთებული განცხადებები, მისი არჩევა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, დანიშვნა სააპელაციო სასამართლოში და სხვ. აგრეთვე, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კანდიდატი აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში, იგი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას და წარმოადგენს უსტიციის უმაღლეს სკოლის მასწავლებელთა საბჭოს წევრს. *ფინანსური ვალდებულების მახასიათებლის* თაობაზე, შესაძლებელია ითქვას, რომ ლევან თევზაძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ლევან თევზაძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ

	შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. კანდიდატის მიერ *სამართლებრივი ნორმების ცოდნის* კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ ლევან თევზაძე სისხლის სამართლის მიმართულებით სიღრმისეულად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი სწორად ახდენს სამართლებრივი ნორმების გაანალიზებას, მათი მიზნისა და შინაარსის დადგენას. ამასთან, კანდიდატი სრულყოფილად იცნობს ადამიანის უფლებების სამართალს. მნიშვნელოვანია, რომ იგი სისტემატიურად ეცნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია). იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2020 წლის 18 დეკემბერს ლევან თევზაძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. უნდა აღინიშნოს, რომ იგი იყო გაწონასწორებული, თავდაჯერებული, მშვიდი და კორექტული. აღსანიშნავია, რომ ლევან თევზაძე სამართლებრივი ნორმების განმარტებისას ღიად, თავისუფლად გამოხატავდა საკუთარ შეხედულებებს და ანვითარებდა საინტერესო, სიღრმისეულ, არგუმენტირებულ და დასაბუთებულ მსჯელობას. ამასთან, კანდიდატი საკუთარი პოზიციის გასამყარებლად აქტიურად იყენებდა როგორც უზენაესი სასამართლოს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს და უმეტესად ამომწურავად პასუხობდა დასმულ შეკითხვებს. კანდიდატის *სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან დაკავშირებით* შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება. იგი ამჟამად არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე/თავმჯდომარე. ლევან თევზაძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი

[2] იხ. ლევან თევზაძესთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=PXceg0QwdgY

	დოკუმენტების[3] შესწავლის საფუძველზე კი ნათელია, რომ იგი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. კერძოდ, კანდიდატი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის თანმიმდევრული, ნათელი და არაორაზროვანი, რის საფუძველზეც მკითხველს ეძლევა შესაძლებლობა ერთგვარად მიჰყვეს იმ დასაბუთების განვითარების ბმას, რამაც განაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მიღება. ასევე, კანდიდატის მიერ მომზადებული სამართლებრივი დოკუმენტები მომზადებულია ნათელი და მკითხველისთვის გასაგები ენით. მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. *ლევან თევზაძის ზეპირი კომუნიკაციის უნართან* დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი გამოირჩევა კარგი მეტყველების უნარით. ამასთან, იგი არის მშვიდი, გაწონასწორებული და ღიად აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი საკუთარ პოზიციას გადმოსცემს თანმიმდევრულად, ნათლად და მსმენელისთვის გასაგები ენით. აღსანიშნავია ისიც, რომ მას გააჩნია სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობა. ამასთან, ლევან თევზაძის *პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით* კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით, გულმოდგინეობით, პროდუქტიულობით და გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. ასევე, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატს აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების შესაძლებლობა. უნდა ითქვას ისიც, რომ

[3] სასამართლო გადაწყვეტილება: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 18 აპრილის განაჩენი, საქმე N1/ბ-849-18, სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაციები: „დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2018 წ. (გვ.7-20), „თავისუფლების აღკვეთის შეფარდების თავისებურებანი საქართველოს სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით“, საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017წ. (გვ. 60-79), სახელმძღვანელო წინადადებები „სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე“.

	გამოკითხული რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ ლევან თევზაძეს აქვს კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევები. უშუალოდ კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე კი უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 1 ნოემბერიდან - 2020 წლის 1 ნოემბერამდე პერიოდში მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა (100%) და უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებლები (93.8%). კანდიდატის *<u>აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის</u>* შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ღია სიახლეების მიმართ და აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. ლევან თევზაძე აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ფორმატის ადგილობრივ თუ საერთაშორისო ტრენინგში, სემინარსა და სასწავლო კურსში. ამასთან, იგი „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში“ მიწვეული ლექტორის სტატუსით ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში კითხულობდა სემინარებს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთების საკითხებზე წარმოადგენს ევროპის საბჭოს ადგილობრივ ექსპერტს და მომზადებული აქვს სამეცნიერო თუ სხვა სახის პუბლიკაციები. ასევე, ლევან თევზაძე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი (თემა - „წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კვალიფიკაციის პრობლემები საქართველოს სამართლის პრაქტიკის მიხედვით“). **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ ლევან თევზაძესთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 96 ქულას. შესაბამისად, კანდიდატის ცოდნის,

	პროფესიული გამოცდილებისა და მის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს უნარი ღირსეულად შეასრულოს უზენაესი სასამართლოს, მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოს, მოსამართლისთვის დაკისრებული რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-2021